საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 16 აპრილი, 2014 წელი.

№76 (7457)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფფაა, ფეფელებით და ჭიანებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

ცოცხებს დათესავ, კვერცხებს მოიმკი! ③

„იქნებ, უკრაინელებს ან მოლდოველებს ვკითხოთ, რა ტიპის დანაშაული სეპარატიზმი“ ⑤

სოფელ აძვთან ოკუპანტებმა ქართველი ჟურნალისტები დააკავეს

დაკავებულია ტვ-3-ის გადამღები ჯგუფი – ბელა ზაქაიძე, ვახო ლეკიაშვილი და ჩართვის ტექნიკური ჯგუფიდან მიხეილ დიხოევი.

როგორც ტელევიზიის წარმომადგენლები აცხადებენ, ჟურნალისტები სოფელში წმინდა გიორგის ეკლესიას იღებდნენ, რა დროსაც ისინი ოკუპანტებმა დააკავეს.

ხელოვნების მუზეუმი თუ ექსპონატების საწყობი?!.. ⑦

„სითი პარკი“ მძღოლებს ყოველ წელს 2,3 მილიონის ჯარიმას აწდევინებს ⑥

რედაქციას უპასუხებენ

პრეზიდენტის პრესსამსახური უარყოფს

საზოგადოების არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა საპატიმროში ბავშვის ხელისუფლების ყოფილი ჩინოვნიკების მიერ ორგანიზებული აქციის – **„არა – კოლაბორაციონიზმს“** – რიყეზე მოწყობილ გაგრძელებას – კონცერტს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. პრესაში ფართოდ გახმაურდა მოსაზრება, რომ **„ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ ერთიანდებიან ნაციონალები და ე. წ. ლიბერასტები და მათ მარგველაშვილმაც გამოუცხადა ნდობა!“**

სერიოზული და დამაფიქრებელი ბრალდებაა!

რა თქმა უნდა, ქვეყნის პრეზიენტს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ, დაესწროს ნებისმიერ ღონისძიებას, მაგრამ რაც შეეხება ამა თუ იმ პოლიტიკური მიმდინარეობის მიმართ ნდობისა და სიმპათიის გამოცხადებას, აქ, ალბათ, დიდი დაფიქრება მართებს. ამიტომ მივმართეთ შეკითხვით საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახურს, თუ რამდენად შეესაბამებოდა მოარული ხმები სიმართლეს.

პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა **თინათინ მჟავანაძემ** რედაქციას აცნობა, რომ **ხმები, თითქოს ბატონმა გიორგი მარგველაშვილმა „ნდობა გამოუცხადა ირაკლი ღარიბაშვილის წინააღმდეგ გაერთიანებულ ნაციონალებსა და ლიბერასტებს“ ყოვლად უსაფუძვლოა. არაფერი ამის მგავსი არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს!“.**

„ვინ დაიცავს უმრავლესობას?!“ ④

დიდი ხნის წინათ დასაწყები საქმე ⑥

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ბიზნესმენებო, დაეხმარეთ ახალგაზრდა სპორტსმენებს!

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ბიზნესმენებს ახალგაზრდა სპორტსმენებში ინვესტიციის განხორციელებისკენ მოუწოდებს. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა „ექსპო ჯორჯიაში“ მიმდინარე კონფერენციაზე — „სპორტის სახელმწიფო პოლიტიკა: გამოწვევები და პერსპექტივა“ განაცხადა, ბიზნესმენები აუცილებლად მიიღებენ უკუგებას და იამაყებენ თავიანთი წვლილით ამ საქმეში.

— ჩვენი არაერთი ბიზნესმენი აფინანსებს სახელოვან სპორტსმენებს, ისინი კეთილ საქმეს აკეთებენ და ქველმოქმედებას ეწევიან. მინდა, შევთავაზო მათ, ახალი ხედვა — შეხედონ ახალგაზრდა, დამწყებ და უკვე პროფესიონალი სპორტსმენების პერსპექტივას, მომავალში ინვესტირების კუთხით, ჩადონ ინვესტიციები და მერწმუნეთ, ისინი მიიღებენ უკუგებას და იამაყებენ თავიანთი წვლილით ამ საქმეში, — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, მთავრობა ინტენსიურად მუშაობს იმისათვის, რომ სპორტს ჰქონდეს მაქსიმალური ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან და სახელმწიფო დაფინანსება ქართული სპორტის განვითარების საქმეში იყოს სოლიდური. როგორც ღარიბაშვილმა განმარტა, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები უკვე გადადგა მთავრობამ.

მისივე თქმით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს მხრიდან პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობას. ღარიბაშვილის განმარტებით, ამ მიმართულებით მთავრობამ შეიმუშავა ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენისა და ხელშეწყობის პროგრამები, რათა საქართველო ღირსეულად წარსდგეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე.

◎ ალიან-ჩალიანი

ევროკავშირში მოუთმენლად გველიან

ევროკავშირი კვლავ ადასტურებს საქართველოსა და მოლდოვასთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას. ამის შესახებ ლუქსემბურგში, ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრების მიერ მიღებულ განცხადებაშია ნათქვამი.

ამასთან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრების განცხადებაშია აღნიშნული, ევროკავშირი მოუთმენლად ელის საქართველოსა და მოლდოვასთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შეთანხმების ჩათვლით, არაუგვიანეს 2014 წლის ივნისისა.

— ევროკავშირი დარწმუნებულია, რომ ევროკავშირი-საქართველოსა და ევროკავშირი-მოლდოვას შემდგომი ურთიერთობების გაღრმავება პოზიტიურად აისახება ამ ქვეყნების სტაბილურობასა და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ორივე ქვეყნის ყველა მოქალაქის საკეთილდღეოდ, — ნათქვამია განცხადებაში.

ქართული ეკლესიისადმი ევროკავშირი ღრმა პატივისცემითაა განმსჭვალული

ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის როლისადმი, — ამის შესახებ ნათქვამია საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ გავრცელებულ დოკუმენტში, რომელშიც საუბარია მცდარ ინფორმაციებზე, რომლებიც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებით ვრცელდება.

ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში მიიჩნევს, რომ ფაქტების დამახინჯება ხდება და მაგალითად მოჰყავს მითები და ფაქტები. ერთ-ერთ მითად დასახელებულია ის, რომ „ასოცირების შესახებ შეთანხმება ხელყოფს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტს“.

— ევროკავშირი ღრმა პატივისცემით არის განმსჭვალული საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის და საქართველოს ეროვნულ ცხოვრებაში მისი მნიშვნელოვანი როლისადმი. 2014 წლის მარტში ევროკომისარი შტეფან ფულე შეხვდა პატრიარქ ილია II-ს და მათ ისაუბრეს ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის შესახებ. პატრიარქმა გამოხატა საქართველოს ევროპული არჩევანისადმი თავისი უპირობო მხარდაჭერა, — ნათქვამია ევროკავშირის წარმომადგენლობის განცხადებაში.

ახლოვდება სამიტი - მატულობს საფრთხე

სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელის მამუკა არეშიძის განცხადებით, უკრაინაში პროცესები ბევრად უფრო ღრმად არის წასული, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ამის შესახებ მამუკა არეშიძემ გუშინ ჟურნალისტებს უსაფრთხოებისა და პოლიტიკის საკითხებში ექსპერტების პრეზიდენტთან შეხვედრის დაწყებამდე განუცხადა. ამით მამუკა არეშიძე უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს და საქართველოს წინაშე არსებულ საფრთხეებს გამოეხმაურა.

როგორც ექსპერტმა აღნიშნა, პრაქტიკულად უკრაინის დაკავების ოპერაცია დაწყებულია და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ სამხრეთ აღმოსავლეთ უკრაინის, არამედ დაწყებულია მთლიანად სახელმწიფოს დაშლის პროცესი.

— პრაქტიკულად უკრაინის თითქმის 2/3 ტერიტორიაზე იმყოფებიან სხვადასხვა ტიპის ჯგუფები, რომელთა იდენტიფიცირება შეიძლება როგორც რუსული სამხედრო ან სადაზვერვო სტრუქტურის თანამშრომლების. ასე რომ, უაღრესად რთული ვითარებაა დღეს უკრაინაში. რაც შეეხება საქართველოსთან დაკავშირებულ ანალოგიებს, საქართველომ მას მერე, რაც დამოუკიდებლობა მოიპოვა, მუდმივად საფრთხის ქვეშ არის სხვადასხვა ფორმით, ეს დამოკიდებულია როგორც გარეშე ფაქტორებზე, ასევე შიდა პოლიტიკურ ვითარებაზე, — მე ვთვლი, რომ მოახლოებულ ნატოს სამიტთან დაკავშირებით ბევრად უფრო აქტიური იქნება საფრთხე, ბევრად უფრო აგრესიული და გარდაუვალიც, იმ გადასახედიდან, რაც დღეს უკრაინაში ხდება, თუ სიტუაცია არ შეიცვალა იქ, თუ დასავლეთი ბევრად უფრო მკაფიო, გასაგები და აგრესიული არ გახდა, — განაცხადა მამუკა არეშიძემ.

ინტერპრესი

◎ მამული ჩვენი

ქუთაისი მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში მოხვდა

ქუთაისი მსოფლიოს უძველესი იმ ქალაქების ათეულში მოხვდა, სადაც ხალხი დღემდე ცხოვრობს. ამის შესახებ ცნობას ერთ-ერთი უცხოური გამომცემლობა (listverse.com) აქვეყნებს.



საუკუნეს სძინავს მრავალს შენს ძველ ქვებში, მზის ქალაქო, ქართველის ფუძის ჩამყრელი ხარ, დღესაც არ ხარ უბარაქო...

გიორგი ლეონიძე

გამოცემის თანახმად, ქუთაისი არის ქალაქი, რომელიც ქრისტეს შობამდე 1400 წლით ადრე დაარსდა. კერძოდ, ქალაქი საქართველოს დასავლეთით მდებარეობს, იგი უძველესი სახელმწიფოს გული და დედაქალაქი იყო. თავად საქართველო კი არგონავტების მოგზაურობასა და მედეასთან არის ასოცირებული.

რაც შეეხება სხვა უძველეს ქალაქებს, მათ შორისაა, პალესტინის ქალაქი იერიქონი. ესაა მსოფლიოში უძველესი ქალაქი, რომელიც მკვდარი ზღვის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. გადმოცემის მიხედვით, ქალაქი ქრისტეს შობამდე 9 ათასი წლით ადრე შეიქმნა. იერიქონი რამდენიმეჯერ მტრის მიერ სრულად განადგურდა, თუმცა, მოსახლეობამ მისი აღდგენა მაინც შეძლო. ქალაქი ულამაზესი ფლორითა და ფაუნით გამოირჩევა.

სხვათა შორის, იერიქონის შესახებ ამავე მონაცემებს ამოიკითხავთ ვიკიპედიაშიც, სადაც ნათლად წერია, რომ აქ მოსახლეობა ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე 9 ათასი წლის წინათ ცხოვრობდა. ამ ტერიტორიაზე მუდმივი დასახლება კი 8000-7000 წლის წინათ ჩნდება.

უძველეს ქალაქთა შორისაა ბიბლოსი — ერთ-ერთი უძველესი ფინიკიური ქალაქი, რომელიც ქრისტეს შობამდე 6 ათასი წლით ადრე დაარსდა. ქალაქი გამორჩეული იყო იმ დროისათვის შესაბამისი მეთოდებით წარმოებული მედიკამენტებით, რომლითაც მიმდებარედ არსებული ქალაქებიც სარგებლობდნენ.

ასევე, უძველესი ქალაქია ბერძნული არგოსი, ქალაქი, რომელიც ქრისტეს შობამდე 5 ათასი წლით ადრე დაარსდა. არგოსი, შესაძლოა, ევროპაში ყველაზე ძველი ქალაქიცაა. ამ ქალაქმა ძალიან დიდი როლი შეასრულა ბერძნული მითოლოგიის შექმნაში.

დღემდე შემორჩენილ ძველ ქალაქთა რიცხვშია სიდონიც, ქალაქი, რომელიც ქრისტეს შობამდე 3 ათასი წლით ადრე დაარსდა. იგი დაარსებიდან დღემდე ერთგვარი პორტის ფუნქციას ითავსებდა. სიდონი ჰომეროსის ნაწარმოებშიც რამდენჯერმეა ნახსენები.

სიაში მოხვდა, ასევე ჩინეთის და სხვა ქვეყნების უძველესი ქალაქები. ყველა ამ ქალაქს აერთიანებს ის, რომ ისინი დღემდე დასახლებულ პუნქტებად გვევლინებიან.

რაც შეეხება ქუთაისს, იგი ოფიციალურად ქალაქად გამოცხადდა 1811 წელს, თუმცა, უფრო ადრეულ პერიოდში (730 წ. 980-1072 წ.წ.) იგი მოიხსენიებოდა საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქთა რიცხვში. ქუთაისის დაარსების ისტორია და სახელწოდება დღემდე საკამათოა, ისევე, როგორც ქალაქის ისტორიასთან დაკავშირებული ბევრი სხვა საკითხი, რაც სამეცნიერო ჰიპოთეზის საგანია. მის შესახებ წყაროთა მონაცემები მწირია, თუმცა, ისტორიკოს დიმიტრი მელღვინეთუხუცესიშვილის (მე-19 საუკუნე) ცნობით, „ამბობენ, ვითომ ქუთაისის სახელი შემდგარიყოს სამთა სიტყვათაგან, ქვა-მთა-ისი (ე.ი ქვიან მთაზედ ქალაქი) და შემდგომ ჟამთა ცვლილებისა უწოდებენ აწ ქუთაისს“.

ქუთაისის წინამორბედი ქალაქი, აია-კოლხეთის დედაქალაქი კოტაისი (კუტაია) პირველად ელინისტური ხანის ბერძნულ თხზულებებში იხსენიება. მათ შორის, უმთავრესია აპოლონიოს როდოსელის „არგონავტიკა“ (ძვ. წ. აღ. მესამე საუკუნე), რომელიც ოქროს საწმისის მოსაპოვებლად ბერძენთა ლაშქრობის შესახებ დაწერილი პოემაა. ანტიკური ავტორები ქუთაისს თვლიან ძველი კოლხეთის სამეფოს (ძვ. წ. მე-8 საუკუნის) დედაქალაქად.

Listverse.com-ზე მოხვედრილ ინფორმაციას ისტორიკოსი, აკადემიკოსი გიორგი ოთხმეზური საეჭვოდ მიიჩნევს. მისი თქმით, მართალია, აიეტი კუტაიელი იყო, მაგრამ ის, რომ ქუთაისი ქრისტეს შობამდე 1400 წელს დაარსდა, მეტ დასაბუთებას მოითხოვს.

„ბერძნულ მითოლოგიაში არის ასეთი რამ, რომ აიეტი კუტაიდან იყო, მაგრამ ეს გვიანდელი ჩანაწერია და ზუსტად ამის დადასტურება საეჭვოა“, — აცხადებს გიორგი ოთხმეზური, რომლის თქმითაც, ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირია. მითოლოგიური წყაროებით ინტერპრეტირება სრულიად განსხვავებულია, ასპროცენტიანი დადასტურებული ცნობები კი, სამწუხაროდ, არ არსებობს.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი თედო დუნდუა ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ აპოლონიოს როდოსელის (ძვ. წ. აღ. მესამე საუკუნე) „არგონავტიკაში“ პირველადაა მოხსენიებული მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი - კუტაია (ქუთაისი). ცხადია, აპოლონიოს როდოსელს უამრავი თანადროული ინფორმაცია ჰქონდა, თუმცა, უფრო რაციონალურია იმ მეცნიერთა მოსაზრება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ კუტაიას თემა შემოსულია ზუსტად ძვ. წ. აღ-ის მესამე საუკუნიდან.

„მაინც ძველი ქალაქია კუტაია. ისტორიკოსებმა ამ ქალაქის კვლევა უნდა დაიწყონ ძვ.წ-აღ-ის მესამე საუკუნიდან, უფრო ადრეული ხანა არა მგონია. უცხოურ გამომცემლობაში დაბეჭდილი ეს სია კი რეალობისგან შორსაა. საქალაქო ცხოვრება პირველად შეიქმნა ეგვიპტეში ძვ.წ-აღ-ის მეოთხე ათასწლეულში. ამ სიაში არ ფიგურირებს თებე — ძველი ეგვიპტის ქალაქი, ასევე, არ ფიგურირებს მემფისი — ანტიკური ქალაქი ძველ ეგვიპტეში, ბაბილონი მესოპოტამიის დედაქალაქი, ნინევია — ასურეთის დედაქალაქი, უამრავი სხვა ქალაქი, ქალაქები ინდოეთსა და ჩინეთში, სადაც ადრეული სახელმწიფოები იყო“, — აცხადებს თედო დუნდუა. თუმცა, ისტორიკოსისგან განსხვავებით, ამ გამოცემის ავტორები მხოლოდ იმ ქალაქებზე აკეთებენ აქცენტს, რომლებშიც ცხოვრება დღემდე დუღს.

მარიამ ლოლაშვილი

კომპანიებს ჯარიმისგან ათავისუფლებენ

კომპანიები, რომელთაც სახელმწიფო მნიშვნელობის — ე.წ. მეხუთე კლასისთვის მიკუთვნებული ობიექტების მშენებლობაში აქვთ მონაწილეობა მიღებული, დაკისრებული ჯარიმებისგან გათავისუფლდებიან.

„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში“ განხორციელებულ ცვლილებებს პრეზიდენტმა ხელი უკვე მოაწერა.

საქმე ეხება ჯარიმებს, როცა კომპანია მშენებლობისთვის დადგენილ ფარგლებს გასცდა, ან ჯარიმა მას სანებართვო პირობების დარღვევის გამო დაეკისრა. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის“ მიხედვით, ეს ჯარიმები ერთჯერადი არ არის — ერთხელ დაჯარიმებული სუბიექტი, თუ დაშვებულ შეცდომას არ გამოასწორებს, სახელმწიფოს შეუძლია ის სამჯერ, სამმაგი ოდენობით დააჯარიმოს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის მიხედვით, დაჯარიმებული კომპანია მიმართავს სახელმწიფოს — ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, აღწერს, რა მიზეზების გამო მოხდა პირობების დარღვევა, ან საზღვრებს იქით გასვლა და თუ სამინისტრო მიიჩნევს, რომ მისი მიმართვა მართებული და მისაღებია, მიმართავს მთავრობას. ამასთან, პარლამენტის მიერ მიღებული კანონის პირობაა, რომ მას პირველადი ჯარიმა გადახდილი უნდა ჰქონდეს. კომპანიის ჯარიმისგან გათავისუფლების უფლებამოსილება მთავრობას გააჩნია.

— სახელმწიფო კომპანიებს სამმაგი ოდენობით, სამჯერ აჯარიმებდა, რაც ჯამში საკმაოდ დიდ თანხას აღწევდა. მაგალითად, როცა პირველადი ჯარიმა იყო 10-ათასი ლარი, შემდეგ ეკისრებოდა სამჯერ გასამმაგებული ოდენობა, რაც თითქმის 100-ათასს ლარს აღწევდა, — განაცხადა საკანონმდებლო ინიციატივის ავტორმა, დეპუტატმა თამაზ ავდალიანმა.

ე.წ. მეხუთე კლასისთვის მიკუთვნებულ მშენებლობებში ითვლება სახელმწიფო მნიშვნელობის გზები, ხიდები და გვირაბები.

ცოცხებს დათესავ, კვერცხებს მოიმკი!

გასული კვირის განმავლობაში უჩვეულოდ ბევრი საინტერესო და საშიში ამბავი გავიგეთ, მაგრამ მათგან ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანი, ვფიქრობ, მაინც ცხრა აპრილის გახსენებასთან იყო დაკავშირებული.

ტრაგედია და ფარსი

იმ ტრაგიკული დღიდან 25 წელი გავიდა. ისტორიისთვის ეს დრო ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ, წესით, ვნებების დაოკებისა და მომხდარის ცივი გონებით განსჯისთვის საკმარისი უნდა ყოფილიყო. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში ასე არ მოხდა — ჯერ კიდევ ვერ გაგვირკვევია, ამ დღეს უნდა ვიგლოვოთ, თუ უნდა ვიზეიმოთ; 9 აპრილი „გაუტეხელი ქართული სულის გამოვლინებაა“ თუ ქართველებისთვის სულში ჩაფურთხების დღეა; ვინ დააყენა სისხლის კალო რუსთაველის პროსპექტზე 9 აპრილის გამთენიისას — რუსმა დამპყრობელმა თუ საბჭოთა არმიამ; რა კონკრეტული დანაშაული მიუძღოდა ამ საქმეში მაშინდელი საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობას თუ „არაფორმალური მოძრაობის“ ლიდერებს...

ეს გაუგებრობა იმის ბრალიც უნდა იყოს, რომ საქართველოს ყველა ხელისუფლება და ხელისუფლებაზე მეოცნებე ძალა ამ ტრაგედიის პოლიტიკური სპეკულაციებისთვის გამოყენებას ცდილობდა და ახლაც ცდილობს.

საქმე ხშირად ტრაგიკომიკურ ელფერს იძენს. ცხრა მაისს თბილისის ისანი-სამგორის გამგებლის მოადგილემ ბატონმა გაზდელიანმა საჯაროდ დაწვა... თავისი ჭკუით — რუსეთის, სინამდვილეში — სლოვაკეთის დროშის სიმბოლო, ამ ქვეყნის საელჩოს თანამშრომლების მიერ 9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალზე მიტანილი გვირგვინის შემამკობელი ლენტი.

ეს რომ მხოლოდ უვიცობის ბრალი იყოს, კიდევ არა უშავდა, მაგრამ ამ მამაცური აქტით ბატონმა გაზდელიანმა არა მარტო მრისხანე პროტესტი გამოუცხადა „იმპერიულ რუსეთს“ და ქართველ „რუსეთუმეებს“, არამედ მსოფლიოს დაანახვა, რომ ჩვენ, ევროპელი ქართველები, ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ ბნელი გამოქვაბულიდან.

კვერცხების ქარიშხალი

„მეორე პოლიტიკური ძალა“ (რომელიც უახლოეს ხანში გაპირველებისთვის ემზადება!), ნაციონალური მოძრაობა, წინასწარ დაგვპირდა, რომ ცხრა აპრილიდან დაიწყებდა მრისხანე საპროტესტო გამოსვლებს „არსებული დიქტატორული რეჟიმის“ წინააღმდეგ და ხალხს, ამომრჩეველს ამ „კვერცხების ხელისუფლების“ (პოლიტიკური დევნილის გიგი უგულავას ფრთიანი გამოთქმაა) ნამდვილ სახეს დაანახვებდა.

ნაციონალური ლიდერების დაპირება, ტრადიციისამებრ, შესრულდა, ოღონდ, ერთი მცირე და, აგრეთვე, ტრადიციული კორექტივით — ბატონმა და ქალბატონმა ნაციონალებმა ხალხს, ამომრჩეველს კიდევ ერთხელ საკუთარი უნიათობა დაანახვეს.

გულწრფელად რომ ვთქვა, თანამედროვე ფორმაციის ნაცლიდერთა გულუბრყვილობა ცოტა არ იყოს, მაოცებს — ოცნების ხელისუფლება დღედაღამ გვიქადაგებს და ამას შეძლებისდაგვარად საქმითაც გვიჩვენებს, რომ ილტვის ევროპული ინტეგრაციისკენ; ნაციონალური მოძრაობა კი გვიქადაგებს, რომ მისი მიზანია... ევროპული ინტეგრაცია! სწორედ ეს გახლდათ გასული კვირის განმავლობაში ნაცმოძრაობის მიერ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, ზუგდიდში, ანაკლიაში გამართული აქციების პათოსი. ამ აქციების მთავარი ლოზუნგები გახლდათ „არა კოლაბორაციონიზმს“ (აქ ალბათ „უარი კოლაბორაციონიზმს“ უნდა იგულისხმებოდეს) და „ჩვენ ვირჩევთ ევროპას“.

უცხო ტერმინოლოგიაში ჩემნაირად გაუცნობიერებელი ადამიანების საყურადღებოდ მოგახსენებთ, რომ ფრანგული ტერმინი Collaboration ჩვენებურად თანამშრომლობას ნიშნავს და მსოფლიოში პოპულარული გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს — კოლაბორაციონისტად მოიხსენიებდნენ იმ ფრანგ მოქალაქეებს, ვინც გერმანელ ფაშისტებთან თანამშრომლობდა. უფრო მდაბიურად რომ ვთქვათ, ეს ტერმინი სამშობლოს მოღალატეს, გამყიდველს ნიშნავს და თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, როგორც წესი, საკუთარი მოქალაქეების დასახასიათებლად არ გამოიყენება.

საქმე ის გახლავთ, რომ კოლაბორაციონისტად, შეესაძლოა, მოინათლოს არამარტო რუსეთთან თანამშრომლობის მომხრე საქართველოს მოქალაქეები (რასაც ნაციონალები გულისხმობენ), არამედ საქართველოს ამერიკანიზაციის, ევროპეიზაციის და, წარმოიდგინეთ, თვით სინგაპურიზაციის მომხრეებიც კი.

იქნებ ამის ბრალიც იყოს, რომ ნაცმოძრაობის ლიდერებს უკლებლივ ყველა აქციაზე ფანატიკოს მომხრეებთან ერთად კვერცხებით შეიარაღებული ოპონენტებიც დახვდნენ. კვერცხების წვიმა ვერ შეაჩერა ნაცლიდერთა ასეთმა ლოგიკამაც კი — მოდი, თავი დავანებოთ წარსულს, ნუ ვიფიქრებთ შურისძიებაზე, ერთად ვიაროთ წინ, ნათელი ევროპისაკენ, საითაც ჩვენი დიდი გაქცეული ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გაგვიძღვება! „კვერცხებიანი ბიჭები“ ვერც ისეთი ავტორიტეტების გამოჩენამ შეაჩერა, როგორებიც თენგიზ გუნავა, როლანდ ახალაია, კობა სუბელიანი, ნიკა მელია და ბესო გაზდელიანი ბრძანდებიან. ვერ გაჭრა თვით ასეთმა გულისმომკვლელმა მოწოდებებმაც: „როლანდ ახალაია ისჯება ღმერთის სიყვარულის გამო“; „ხელისუფლებას რესურსები ამოეწურა! ან ტყვია ან ციხე, სხვანაირად არ გავჩერდებით“... რაც ყველაზე გულსაკლავია, ნაცმოძრაობას მხარდამჭერები თვალ და ხელშუა შემოეფანტა.

რა გაეწყობა, როგორც ქართული ანდაზა ღაღადებს, ცოცხებს დასთეს, კვერცხებს მოიმკი...

კინაღამ დამავიწყდა — გასულ კვირაში გავრცელდა დაუზუსტებელი ინფორმაცია, ბიძინა ივანიშვილმა ადგილობრივი არჩევნების მაღალ დონეზე ჩასატარებლად და ნაცმოძრაობაზე სრული და ყოვლისმომცველი გამარჯვების მოსაპოვებლად რუსეთიდან ორი ეშელონი კვერცხი შემოიტანაო.

არადანი მე...

ყველა პოლიტიკური პარტია რომ ჩვენი, საბრალო ამომრჩევლების გადასარჩენად და სწორ გზაზე დასაყენებლად ზრუნავს, ამაში ეჭვიც არ უნდა შეგვეპაროს. განსაკუთრებით სასიხარულო ის გახლავთ, რომ თავგანწირვისთვის მზად მყოფი ადამიანების რიცხვი ასე ბევრია და ყოველდღე იზრდება. თბილისის მერობაზე, ამ უმადურ თანამდებობაზე, გასულ კვირაში უკვე ათამდე პრეტენდენტი იყო: ქართული ოცნების კანდიდატი დავით ნარმანია, რომელიც მზად არის ამ თანამდებობის სამსხვერპლოზე მინისტრის პოსტი და საკუთარი ავტორიტეტი მიიტანოს; ნაცმოძრაობის კანდიდატი ნიკა მელია, რომელიც მზად არის, კვერცხების ქარიშხალი საკუთარ თავზე მიიღოს და მუშტი-კრივზეც ხელი აიღოს; თავისუფალი საქართველოს კანდიდატი დიმიტრი ლორთქიფანიძე, რომელიც მზად არის თავისი კაიბიჭობა გვანაცვალოს; ქალბატონი ასმათ ტყაბლაძე, რომელიც მზად არის საკუთარი ხალხის საკეთილდღეოდ თავის პოლიტიკურ ქალწულობას შეელიოს; კახა კუკავა, რომელიც რუსეთისკენ ფანჯრის გახსნას და ქვეყნის გაერთიანებას გვპირდება... ეს სია მომავალ კვირებში აუცილებლად გაბევრდება და ჩვენც ივნისის 15-ში ტორტების ფირმა „მადის“ მაღაზიებში რომაა, საარჩევნო უბნებში კანდიდატების იმაზე გაცილებით ფართო ასორტიმენტი დაგვხვდება.

თუმცა, ეს წუთისოფელი ხომ შარბათთან ერთად ზოგჯერ სამსალასაც შემოგვაპარებს — აგერ, ბატონმა ზურაბ ხარატიშვილმა განაცხადა, თბილისის მერობაზე ცოცხალი თავით კენჭს არ ვიყრი, ამაზე არც იოცნებოთო. კიდევ უფრო შთამბეჭდავი განცხადება გააკეთა დირიჟორმა და კომპოზიტორმა ნიკა რაჭველმა: „კულტურის სამინისტრო ყველანაირად ცდილობს მაიძულოს, მივიღო რადიკალური გადაწყვეტილება, სადაც მაქვს ორი არჩევანი: ან საქართველოს დატოვება ან უკომპრომისო ბრძოლა მათი უმეცრების, არაპროფესიონალიზმის და ბოროტების წინააღმდეგ.“

და რაც მთავარია, კიდევ ერთხელ (მერამდენედ, აღარ მახსოვს!) გადააყენეს ქუთაისის მერი.

რას გვერჩით, ბატონებო, ჩვენ ხომ თქვენთვის კვერცხები არ დაგვიშენია.

გასულ კვირაში საკონსტუტუციო სასამართლომ გააუქმა პარლამენტის გადაწყვეტილება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მოქმედი წევრებისთვის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ. ასე რომ, პარლამენტის მთელი იწილობიწილო ბორდის ახალი წევრების არჩევა-დამტკიცების თაობაზე ერთბაშად წყალში გადაიყარა — ბორდში დარჩება 7 ძველი წევრი და იმათ დაემატება 2 ახალი. ან პარლამენტი იძულებული იქნება, ბორდის რაოდენობა გაზარდოს სულ მცირე, 15-მდე, რომ იქ „თავისი“ უმრავლესობა შეინარჩუნოს.

უსაზღვრო უკრაინა

გასულ კვირაში გაეროს უშიშროების საბჭოს ექსპერტებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომელმაც, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს უკრაინასთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე და საქართველოზეც. როგორც გაირკვა, უკრაინას თავისი სადემარკაციო საზღვრები არა აქვს დაფიქსირებული საერთაშორისო კანონმდებლობის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ რუსეთს არ დაურღვევია და ვერც დაარღვევდა უკრაინის საზღვრებს, ვინაიდან შეუძლებელია დაარღვიო ის, რაც ბუნებაში არ არსებობს. ამის თაობაზე განცხადება გააკეთა თვით პან გი მუნმა.

ბარემ აქვე გავიხსენოთ სრულიად რუსეთის პატრიარქ კირილის ამასწინანდელი განცხადებაც: „ებრძვიან ყველა რუსს, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად! ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ, ვიბრძოლოთ! ვიბრძოლოთ ისე, როგორც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები! ჩვენ ვალია, გავიმარჯვოთ! ისევე, როგორც იმარჯვებდნენ ჩვენ წინაპრები! ჩვენ ერთხელ უკვე დავამარცხეთ ფაშისტები და მათ დავამარცხებთ ახლაც! გამარჯვება კი უომრად არ მოდის! ამიტომაც ცხადდება საომარი მობილიზაცია რუსოფობების, კერძოდ, ფაშისტი ბანდეროველების, უკანონო კიევური ხუნტის წინააღმდეგ! ჩვენი საქმე სამართლიანია — მტერი განადგურდება! ჩვენ გავიმარჯვებთ!“

გასული კვირის კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია: ინგლისური ავტორიტეტული გამოცემა The Indenendet-ის გამოკითხვაში „თქვენი საყვარელი მსოფლიო ლიდერი“, ვლადიმერ პუტინმა ხმების 92 პროცენტი მიიღო, ბარაკ ობამამ — 2, ანგელა მერკელმა — 3, დევიდ კამერონმა — 1. გამოკითხვაში 46 ათასი ადამიანი მონაწილეობდა.

იმის თქმა მინდოდა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი (თუ გნებავთ, ვუწოდოთ მას იმპერატორი) არ არის მთლად ისე ხელწამოსაკრავი კაცი, ბესო გაზდელიანს რომ ჰგონია. ვითარება ძალიან საშიშ ფაზაში შედის.

კიდევ ერთი მსოფლიო მნიშვნელობის ინფორმაცია და ამით დავამთავრებ: გასულ კვირაში, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნინოშვილში გაიხსნა დაახლოებით 70 000-ლარიანი ახალი ხიდი, სახელად „ოცნება“. მისალოცი საქმეა, მაგრამ ჩემი მშობელი გურულებისგან ასეთ პოლიტიკურ წინდაუხედაობას არ ველოდი — „ოცნება“ კი არა, „ბიძინას ხიდი“ უნდა დაგერქმიათ, ძმებო, ბიძინასი! პომპეუსის ხიდის ამბავი მაინც არ გაგიგონიათ?

მიხეილ დარახველიძე

◎ ალიან-ჩალიანი

სეპარატისტებმა წმინდა გიორგის ეკლესია თავიანთ „საზღვარში“ მოაქციეს

გორის რაიონის სოფელ ზედა აძვში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც ოკუპირებულ ტერიტორიაზეა მოქცეული, ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ მოინახულა. ტელეკომპანია „იმედის“ ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი აბრა დაიდგა, მოსახლეობა ეკლესიაში მისვლას ვეღარ ახერხებს.

აკრძალვის მიუხედავად, ატენის მიტროპოლიტმა ანდრიამ ეკლესია მოინახულა და საქართველოს მთავრობას მოუწოდა, ყურადღება მიაქციონ ამ პრობლემას, რათა მრევლს ლოცვის საშუალება დღესასწაულებზე მაინც მიეცეს.

— საქართველოს საპატრიარქო წუხს ამ ყოველივეს გამო, რაც ხდება. წუხს არა მხოლოდ იმის გამო, რომ რომელიმე ტაძარი მოჰყვა, ზოგადად, როდესაც ქართული მიწის ნებისმიერ გოჯს ვიღაც ასეთი ხერხით ითვისებს, ეს არის ტკივილი, — განაცხადა მიტროპოლიტმა ანდრიამ.

ინტერპრესი

ვინ დაიცავს უმრავლესობას?!

„ძალიან ხშირად გვესმის, რომ დაცული უნდა იყოს უმცირესობების უფლებები, მაგრამ ვინ დაიცავს უმრავლესობას?!“ – ამის შესახებ სრულიად საძართველოს კათოლიკოს-პატრიარძმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, გზოგის დღესასწაულზე სამების საკათედრო ტაძარში ძადაგებისას განაცხადა.

უწმინდესის განმარტებით, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ვინ ვართ და უნდა ვიფიქროთ არა მარტო უფლებებზე, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, არამედ იმაზე, რა პასუხისმგებლობა აკისრია ყოველ ჩვენგანს ღვთის, ერის, ადამიანისა და საკუთარი სულის წინაშე.

„ვინ დაიცავს უმრავლესობას, ქართველ ხალხს ვინ დაიცავს? ქართველ ხალხს დაიცავს უფალი, უფალი გადააფარებს თავის კალთას და ჩვენ შევთხოვთ უფალს, წყალობას ნუ მოაკლებს საქართველოს“, – ბრძანა უწმინდესმა.

მსგავსი განცხადება ილია მეორემ გასული წლის სექტემბერშიც გააკეთა, როდესაც აღნიშნა, რომ უფლებები კარგია და უფლებები დაცული უნდა იყოს, მაგრამ ძალზე იშვიათად ფიქრობს ვინმე, რომ უმრავლესობასაც სჭირდება დაცვა. ამ დროს კი უმრავლესობა, ხშირ შემთხვევაში, უფრო დაჩაგრულია, ვიდრე უმცირესობა.

მართალია, პატრიარქს არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობს უმრავლესობის უფლებების დაცვაში, მაგრამ ყველამ კარგად იცის, რაზეცაა საუბარი. თუმცა, რატომღაც ამ თვალსაზრისით პრობლემისთვის სხვას არავის შეუხედავს. გამუდმებით მოდის გრანტები და გვესმის, რომ თურმე სხვა აღმსარებლობის უფლებები საქართველოში დაუცველია, თურმე განსხვავებულ სექსუალურ ორიენტაციას ჩვენში ებრძვიან.

ამ ფონზე საინტერესოა, ტოლერანტობით გამორჩეულ ქვეყანაში თუ არის დაცული თავად უმრავლესობის ინტერესები? უმცირესობის უფლებების დაცვა ხომ არ ნიშნავს უმრავლესობის უფლებების შელახვას? ამ შემთხვევაში, გათვალისწინებულ უნდა იქნას თუ არა ტრადიციული ერების მენტალიტეტი? მით უფრო, რომ ევროკომისარმა შტეფან ფულემ დაგვიბარა, რომ ევროკავშირს საქართველოს ტრადიციული ღირებულებების წინააღმდეგ არავითარი განზრახვა არ გააჩნია და საქართველოსგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონებას არავინ ითხოვს. დასავლეთის სურვილი არ არის, საქართველოს თავს უცხო ქვეყნის ფასეულობები მოახვიოს, რადგან საქართველოს თავისი ტრადიციები და ფასეულობები გააჩნია და ამის არავის უნდა ეშინოდეს.

ექსპერტი **რამაზ საყვარელიძე** for.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, ვინც თვლის, რომ უმცირესობის უფლებები საქართველოში დაცულია, მათზე აგრესია არ ვრცელდება და მათი დევნა არ ხორციელდება. თუნდაც გავიხსენოთ 17 მაისი, პრაქტიკულად, ეს იყო რეაქცია ე.წ. იდეის პროპაგანდაზე, ანუ ლგბტობის პროპაგანდაზე.

– ის, რომ საზოგადოებას არ სურს ასეთი დამოკიდებულების პროპაგანდა და არ სურს იმაზე ლაპარაკი, რომ თურმე ლგბტობა მისაღებია, ეს გასაგებია. მე მგონი, ანალოგიური პოზიცია არაერთხელ გაჩენილა იმ ქვეყნებშიც, სადაც კანონმდებლობით იცავენ მათ უფლებებს. განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ, რომ ტრადიციული სექსუალური ორიენტაციიდან გადახრები ყოველთვის არ არის ბიოლოგიური მოვლენა, მათ ფსიქოლოგიური საფუძველიც გააჩნია, რაღაც პროცენტი შეიძლება იყოს ბიოლოგიური, გენეტიკური ფაქტორებით განპირობებული, მაგრამ იმ შემთხვევებში, სადაც კულტურა მეტ-ნაკლებად მხარს უჭერს ასეთ პრობლემებს, იქ გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება სექსუალური ორიენტაციიდან გადახრები. ისტორიაში იყო ასეთი ეპოქები და ასეთი ფაქტებიც გავრცელებული გახლდათ. ასე რომ, ეს ფსიქოლოგიური საფუძველი კარგად დაფიქრებას მოითხოვს. უნდა ვიფიქროთ, ხომ შეიძლება, ამ ადამიანების ორიენტაციის პროპაგანდამ გაზარდოს ასეთი გადახრების რიცხვი საზოგადოებაში?! – აცხადებს რამაზ საყვარელიძე, რომლის აზრითაც, ლეგიტიმურია უმრავლესობის უფლება, რომ მას არ სურს ამ ტიპის გადახრების გახშირება.

ჰომოსექსუალიზმი არავითარი ბრიტანული ტრადიცია არ არის!

for.ge-სთან საუბარში სამების საკათედრო ტაძრის დიაკონი **მამა ელიზბარ დიაკონიძე** განმარტავს, რომ საქართველოში უმრავლესობის უფლებები ყველაზე მეტად ირღვევა და მართლაც შესანიშნავად ბრძანა უწმინდესმა, უმრავლესობის უფლებებს არავინ იცავსო, ანუ შერყვნილია უმრავლესობის უფლებები. არც არსებობს საიმისო მექანიზმი, რომლითაც ამ უფლებებს დაიცავენ. სამწუხაროდ, ვერც ხელისუფლება ვერ იტყვის, რომ მართლმადიდებელ ქრისტიანთა უფლებები, ანუ საქართველოს ავტოქტონური ძირძველი მოსახლეობის უფლებები ირღვევა.

– უმცირესობის უფლებებს იცავენ. თუმცა, სად ნახეს, რომ უმცირესობაში მყოფი ადამიანების უფლება უმრავლესობას დაერღვიოს? სადმე შეიმჩნევა კუ-კლუქს-კლანის მსგავსი მოქმედებები მართლმადიდებლური ეკლესიიდან? ასეთი რამ არ შეიმჩნევა, მადლობა ღმერთს, მამათმავლები, ლესბოსელები და სხვები უმცირესობაში არიან. უკიდურეს უმცირესობაში უნდა იყვნენ ისინი მსოფლიოს მასშტაბითაც და, თუ ვინმეს აწყობს მათი პარპაში, საკუთარ ოჯახებში განათავსონ. ქართველ კაცს საქართველოში საყვედურის გამოთქმის უფლება არ მაქვს. ამ დროს ნებისმიერი არასამთავრობო ორგანიზაციის „შვილს“ შეუძლია წამომაყვედროს, თითქოსდა, ვინმეს უფლებებს ვარღვევ იმით, რომ მისი ზნეობა და ნაკლი არ მომწონს. რა თქმა უნდა, ნაკლში არ ვგულისხმობ ფიზიკურ ნაკლს, არამედ მის სულიერ შეჭირვებულ მდგომარეობას და მორალურ გარყვნას. რატომ არ უნდა ვიყო უფლებამოსილი, რომ ჩემს ქვეყანაში ხმამაღლა ვამბობდე, მსგავსი რამ არ შეიძლება, – აცხადებს მამა ელიზბარი.

მოძღვარი იმ პერიოდსაც იხსენებს, როცა დაახლოებით ორი წლის წინათ, როგორც სასულიერო პირი, სკოლაში რელიგიის ისტორიას ასწავლიდა. მთელ სკოლაში მხოლოდ ორად-ორი ბავშვი იყო იეღოვას მოწმეების მიმდევარი, ამ დროს კი დირექტორიდან დაწყებული, კახა ლომაიათი დამთავრებული, ყველაფერი შეძრეს, არიქა, იმ ორი ბავშვის უფლება ირღვევაო. მოძღვარი ამბობს, სად თქმულა, ორ მოსწავლეს გადააყოლო 1100 მართლმადიდებელი ბავშვის სურვილი?!

თეოლოგ **ლევან აბაშიძისთვის** გაუგებარია, რას ნიშნავს უმრავლესობის დაცვა?! მისი აზრით, თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, უმრავლესობა ძალიან ბევრ რამეს წყვეტს. კონკრეტულად, საქართველოში უმრავლესობად მოიაზრება ეთნიკურად ქართველი მართლმადიდებელი ჰეტეროსექსუალი. შესაბამისად, გამოდის, რომ ამავე პროპორციით ნაწილდებიან ეს ადამიანები პარლამენტში, მთავრობაში, პოლიციაში, ყველა სახელმწიფო ორგანოში. ამიტომ, თუ ვინმეს სჭირდება დაცვა, ეს უმცირესობაა, რათა უმრავლესობამ არ დაჩაგროს ისინი.

„ეს არის თანამედროვე დემოკრატიის პრინციპი. თავად სახელმწიფომ უნდა დაიცვას უმცირესობის უფლებები. უმრავლესობის დაცვა აბსურდია. მეორე საკითხია, რომ თითოეული ადამიანი უნდა იყოს დაცული, განურჩევლად იმისა, ის უმრავლესობის წარმომადგენელია თუ უმცირესობის. ხომ შეიძლება, დავუშვათ, რომ მე, როგორც ქართველი მართლმადიდებელი, ზოგადად უმრავლესობაში ვიყო, მაგრამ ისეთ სამსახურში მივიდე, სადაც აღმოვჩნდე უმცირესობაში, ან სულ სხვა ეროვნების ხალხით იყოს სამსახური დაკომპლექტებული, ან ჰომოსექსუალები სჭარბობდნენ, მაშინ შეიძლება, ლოკალურად ადამიანი უმცირესობაში აღმოჩნდეს და, ამ შემთხვევაში, უკვე ჰეტეროსექსუალი გამოდის უმცირესობაში“, – აცხადებს ლევან აბაშიძე ჩვენთან საუბარში.

ამასთან, განმარტავს, რომ ზოგიერთებს თავი მოაქვთ თავისი ე.წ. ტრადიციული ორიენტაციით, მაგრამ ეს აბსურდია, სულ რაღაც 50 წლის წინათ ინგლისში ჰომოსექსუალიზმის გამო ციხეში სვამდნენ მამაკაცებს, ან კასტრაციას უკეთებდნენ, ანუ ჰომოსექსუალიზმი არავითარი ბრიტანული ტრადიცია არ არის. მეტიც, არცერთი ერის ტრადიციაში ეს არ შედის. უბრალოდ, აქ ლაპარაკია იმაზე, გვინდა თუ არა ჩვენ, რომ უმცირესობის უფლებები დაცული იყოს?

მანანა ნოზაძე

◎ კაკალ გულში

წერტილოვანი ფრაზები

- **იაპონური არჩევნის მომხრეები სად ვიკრიბებით?**
- **ნეტა რა დაჯდა რიყეზე გაკეთებული ევროპული არჩევანი, ჰა�ა?**
- **საზოგადოების მაღალი ინტერესიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ ის, ვინც წინ დაჯდება, მალე ვერ ჩავა, რადგან „ზადნით“ მივექანებით...**
- **საარჩევნოდ ჩამოვდივარ, უნდა დაგთვალოთ! მთვრალი ეუთო**
- **მიშას მთავრობა იყო და გზების აშენებით იწონებდა თავს. ახლა ახალია ბატონო და, ესენიც გზების მშენებლობაზე ლაპარაკობენ. ხალხს როდის დაასაქმებთ და დააპურებთ ბიჯო, ხაااალხს? თუ არავინ დარჩა იმ გზებზე მოსიარულე, რა ჯანდაბად გვინდა?**
- **მართლა მაინტერესებს, ვინმემ იცით, ვისი იდეაა „პანორამა თბილისი“?**
- **ნეტა უახლოეს მომავალში ჰეტეროები უმცირესობაში რომ ვიქნებით, ვინმე დაიცავს ჩვენ უფლებებს?**

ადრე ამბობდნენ – ცხვრის ტყავში გახვეული მგელიო, და ახლა პირიქითაა, ხო? – მგლის ტყავში გახვეული ცხვარი.

- **ბატონო ირაკლი, მორატორიუმი რომ გამოაცხადეთ, საქართველოში სულ არჩევნებია: თუ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო, თუ ადგილობრივი და მაგით რისი თქმა გინდათ, რომ გატაცებული მილიონები შერჩეთ, მკვლელობები შერჩეთ, ტერიტორიების გასხვისება შერჩეთ, რომ, რომ და რომ . . . მოუსმინეთ ხალხს და მოიშორეთ ვაიმრჩეველები...**

- **თქვენ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება საფრანგეთში, პრეზიდენტი ოლანდი ან პრემიერ-მინისტრი მანუელ ვალსი რომ გამოვიდნენ პარიზის მერის არჩევნების დროს და თქვან, სოცპარტიის კანდიდატი უალტერნატივოა?**
- **2012 წლის სექტემბერია. როგორ წარმოვიდგენდი ამ დროს, რომ გავიდოდა ორი წელი და „ნაციონალური მოძრაობა“ ახალ „ეროვნულ“ მოძრაობას დაიწყებდა... როგორ წარმოვიდგენდი, რომ მკვლელებსა და სადისტებს პრეტენზია ექნებოდათ „მთავარ“ ოპოზიციონერობაზე... როგორ წარმოვიდგენდი, რომ ბევრი „ზონდერი“ დაწინაურდებოდა. მაგალითად, ვინმე ყავლაშვილი, რომელმაც თავის დროზე „ობიექტივის“ დამფუძნებელი დაჭრა, ან სხვა „ზონდერები“... როგორ წარმოვიდგენდი საერთოდ იმას, რაც ხდება გარშემო... სიტყვაც უძლურია გადმოვცე, რას განვიცდი... „ქართულო ოცნებავ“, გრძნობ, თუ არა პასუხისმგებლობას?**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ალიან-ჩალიანი

საპატრიარქო აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე ისტორიულ სალოცავებთან მოსახლეობის მისვლის შესაძლებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს

საოკუპაციო ხაზს იქით მოქცეულ სოფელ ზედა აძვის წმინდა გიორგის ტაძართან დაკავშირებით საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს. „ინტერპრესნიუსი“ საპატრიარქოს განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

„საქართველოს საპატრიარქო კიდევ ერთხელ გამოთქვამს გულისტკივილს მავთულხლართების გაბმის გამო და იმ დამოკიდებულების გამო, რაც ექმნება მოსახლეობას დროებით ჩვენს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიებზე დარჩენილ სალოცავებთან მიმართებაში, რისი მომსწრეც ახლახან გახდა სოფელ ზედა აძვის წმინდა გიორგის მრევლი.

ჩვენი მხრიდან ადრეც არაერთხელ დაისვა საკითხი რუსულ, აფხაზურ და ოსურ მხარესთან და ახლაც ვთხოვეთ ბატონ ზურაბ აბაშიძეს, ბატონ გრიგოლ კარასინთან შეხვედრისას ჩვენი სახელით წამოაყენოს წინადადება, რათა ხალხს დღესასწაულებზე მისცენ საშუალება ისტორიული სალოცავების მოლოცვის, გარდაცვლილთა დაკრძალვის, ახლობლებისა და წინაპართა საფლავების მონახულების“, – ნათქვამია განცხადებაში.

„იქნებ, უკრაინელებს ან მოლდოველებს ვკითხოთ, რა ტიპის დანაშაულია სეპარატიზმი“

მოახლოებული ასოცირების შეთანხმების ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის პარალელურად, აქტიური ხდება ინფორმაცია ქვეყანაში ე.წ. მეხუთე კოლონის არსებობის შესახებ. პარალელურად, გააქტიურდნენ „ევრაზიული კავშირის“ მომხრეებიც. ექსპერტი, სოსო ცისკარიშვილი ამბობს, რომ მეხუთე კოლონის არსებობა ქეყანაში გასაკვირი არ უნდა იყოს. უპირველეს ყოვლისა, გამომდინარე იმ რეალობიდან, როდესაც ჩვენი თანამემამულეები არ თაკილობენ საკუთარი სახელმწიფოს მოქალაქეობის დატოვებას და იღვწიან რუსული პასპორტების მისაღებად.

For.ge სოსო ცისკარიშვილს ესაუბრა.

— აღმასრულებელი ხელისუფლების წევრები აცხადებენ, რომ არ დაუშვებენ ქვეყანაში ე.წ. მეხუთე კოლონის არსებობას. თუმცა, ირაკლი ალასანიას განცხადებით, საქართველოში სოკოებივით მომრავლდა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც რუსეთის პოლიტიკის „გაპრავებას“ ცდილობენ. ფაქტია, რომ შეუზღუდავია ის გავლენები, რომელიც შეიძლება რუსეთმა გამოიყენოს საქართველოზე ზეწოლისთვის. ზეწოლის რა ფორმა შეიძლება რუსეთმა აამოქმედოს?

— რუსეთის პოლიტიკა არახალია. ამ საკითხებში ყველაზე დიდი გამოცდილება ჩვენ გვაქვს. არ უნდა დავივიწყოთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე თოვლის ფანტელებივით ჩამოცვენილი რუსული პასპორტების ისტორია. სწორედ, ასეთი ქმედება გახდა იმ სეპარატიზმის გაღვივების საფუძველი, რომლის მომსწრენიც ჩვენ ვართ.

რუსეთი საომარი მოქმედების წარმოებას მიზანშეწონილად არ თვლის. საქართველოს მიმართ რბილი ძალის გამოყენება გახლავთ მისი რამდენიმე წლის წინანდელი სტრატეგია. ეს გახლავთ ის ნაზუქი, რომელსაც მათრახთან ერთად რიგ-რიგობით დაარიგებს ხოლმე ის სისტემა, რომელიც ცდილობს ვინმეს გულის მოგებას, დამორჩილებას და დაშინებას. როგორც ჩანს, ასეთ ადამიანებად წარმოვუდგენივართ კრემლს. რა გასაკვირია, რომ კრემლის ინტერესში არეულობის უფრო მეტი აქტივობაა. დარწმუნებული ვარ, რომ პუტინი „მაღარიჩს“ გადაიხდის ოლონდ ეს ხელმოწერა არ შედგეს, რადგან საქართველოში მიმდინარე პროცესები არ ჯდება ევროპული დემოკრატიის და თავისუფლების ჩარჩოებში. ამდენად, რბილი ძალის გამწვავება და საკმაოდ მყარ ძალად გადაქცევის საფრთხე, უფრო მაის-ივნისშია მოსალოდნელი.

— რუსეთი მზად არის, ყირიმში მიმდინარე პროცესების პარალელურად, ზეწოლის მეორე ფრონტი გახსნას საქართველოში?

— საჭიროზე მეტი კადრები ჰყავს პუტინს იმისთვის, რომ სხავადასხვა მიმართულებით განახორციელოს თავისი ვერაგული გეგმები. დიდი ალბათობით, სამხედრო ძალას არ გამოიყენებს. მაგრამ თავად ჩვენ, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებმა უფრო ადეკვატური შეფასება უნდა მივცეთ მოვლენას. ერთდროულად განახლდა რუსული პასპორტების თემა, საქართველოს მოქალაქეობის დატოვება. პარალელურად, საკმაოდ დესტრუქციული ინფორმაციული ომი მიდის არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ამაში მხოლოდ აქაური ოპოზიცია არაა ჩართული. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ მონატრების ეტაპზეა ზოგიერთი საზღვარგარეთ მყოფი მაღალჩინოსანი იმ რეალობისა, რაც ჩვენს ქვეყანაში ორიოდე წლის წინათ არსებობდა. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში რუსეთის დროშების გაშლა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას აღქმული, როგორც განსხვავებული აზრის გამოხატვის უფლების დამადასტურებელი ქმედება. სრულიად მკაფიოდ, ეს არის საქართველოსთან საომარ ვითარებაში მყოფი ქვეყნის ინტერესების დაცვა.

ასეთ ვითარებაში უფრო მკაცრი ტერმინოლოგია არსებობს. მაგრამ, ჯერჯერობით, ჩვენი პარლამენტი ამ თემაზე დუმს, მსგავსად უკრაინისა და მოლდოვისა, რომლებმაც დაგვიანებით, მაგრამ ჩვენზე უფრო ადრე დაიწყეს კანონმდებლობის ჩამოყალიბება და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რის შედეგადაც სეპარატიზმი აღიქმება ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად და იგი შესაბამისი სასჯელის მქონე დანაშაულად არის აღიარებული.

— საინტერესოა, როცა საუბარია მოსალოდნელ საფრთხეებზე, მაშინ რატომს დუმს საქართველოს პარლამენტი?

— უნდა მოხდეს კანონში ცვლილება რეფერენდუმის შესახებ. რეფერენდუმი არ გახლავთ ის ნუგბარი, რომ

ლითაც პირი უნდა ჩაიგემრიელოს ნებისმერმა მოქალაქემ. მით უმეტეს იმათმა, რომლებსაც საკუთარი მიზნის მისაღწევად, ნებსით თუ უნებლიედ, გასავლელი აქვთ ანტიქართული გზა. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, ვის აქვს რეფერენდუმის ჩატარების უფლება, ვინ გასცემს ასეთ უფლებას და რა შედეგი დადგება უფლების გარეშე ჩასატარებელი რეფერენდუმის მომამზადებელ პირთა მიმართ.

ათი დღის წინათ მოწმენი გავხდით, რა პასუხი გასცა ასეთ გამოწვევას იტალიის მთავრობამ. კერძოდ, ვენეტოს პროვინციას, რომელსაც ორ საუკუნეზე მეტია აღელვებს ის ფაქტი, რომ მან დაკარგა დამოუკიდებლობა, მოქალაქეთა სოლიდურმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ ჩაეტარებინა რეფერენდუმი სწორედ იტალიიდან გამოყოფის კუთხით. მაგრამ ამ რეფერენდუმის 50-მდე ორგანიზატორი დააპატიმრეს. ხაზგასასმელია ის ფაქტი, რომ ვაშინგტონი და ბრიუსელი ამ ფაქტს დუმილით შეხვდა. არავითარი საუბარი დემოკრატიის დარღვევაზე არ ყოფილა.

არც ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ რომის პაპზე უფრო კათოლიკენი გამოვჩნდეთ. იქნებ, ჩვენც მოვიფიქროთ, უკრაინელებს ან მოლდოველებს ვკითხოთ, რა ტიპის დანაშაულია სეპარატიზმი. ვფიქრობ, ასეთ მორევში ჩათრეულმა ადამიანმაც კარგად უნდა გააცნობიეროს, რა ელის მას ქართული კანონმდებლობის მიხედვით. ეს კანონმდებლობა სასწრაფოდ უნდა შეიქმნას და შევიდეს ძალაში.

რუსეთის ინტერესი საქართველოს მიმართ იყო, არის და იქნება. ჩვენი უბედურებაც სწორედ მაგაშია, რომ საჭადრაკო დაფისგან განსხვავებით, მსოფლიო რუქაზე ქვეყნების გადაადგილება აქეთ-იქით არ ხდება. ამ რეალობიდან გამომდინარე მაინცდამაინც ხელისუფლების საყვედურად არ ვამბობ იმას, რაც გასაკეთებელია.

— მინდა გკითხოთ, ვინ შეიძლება საქართველოში წარმოადგენდეს მეხუთე კოლონას, რომლის საშუალებით კრემლი ცდილობს „რბილი ძალის“ ამოქმედებას?

— თვითლუსტრაცია დღეს აშკარად დაფიქსირებულია გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“. ნუ დაიზარებენ ჩვენი მკითხველები, შეიძინონ რამდენიმე ნომერი, თუ სადმე ერთ გადაკრულ ფრაზას მაინც ამოიკითხავენ რუსეთის კრიტიკის სახით, მაშინ ბოდიშს მოვუხდი ამ გაზეთს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ რუსეთთან ადეკვატური ურთიერთობის დამყარების შესახებ, ცხადია, ეს თემა იფარგლება ქართულ-რუსული ურთიერთობებით. მაგრამ, როდესაც ამის პარალელურად არის არსებული ხელისუფლების ლანძღვა-გინება, ისევე როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო, მაშინ ჩნდება კითხვა, რა მიაქანებს ამ გაზეთს პირდაპირ კრემლისკენ და არა რუსეთისკენ?

მეხუთე კოლონა, ასე, შუბლზე დაწერილი ემბლემით ქუჩაში არ გამოდის. მაგრამ, საქართველო არაა იმხელა ქვეყანა, რომ ვერავინ ვერაფერი ვერ გაიგოს. ყველას თავისი სახელი და გვარი აქვს.

— სხვათა შორის, არის ინფორმაცია, რომ მიხეილ ხუბუტიას აქვს გარკვეული ინტერესი ქართულ მედიაში, მეტიც, არსებობს ინფორმაცია, რომ ის აფინანსებს გარკვეულ არასამთავრობო ორგანიზაციას და მედიას...

— ფული ვისია, ამას მნიშვნელობა არა აქვს, მთავარია, ვინ წარმართავს მათ სტრატეგიას.

— არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მკაფიო ამოცანაა საქართველოს დამკვიდრება ევრაზიულ კავშირში, არალეგალურად უკვე მოქმედებენ ქვეყანაში? რამდენად აქვთ მათ ლეგიტიმაცია?

— ამა თუ იმ ორგანიზაციის მიერ ფურცელზე დაწერილი მიზნები ისე კეთილშობილად ჟღერს, რომ არც იქნება სწორი, რაიმე მიზნით ისინი არ დარეგისტრირდნენ. თუმცა, დარეგისტრირება ნიშნავს იმას, რომ გარდა ენთუზიაზმისა, ამ სტრუქტურას უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიში. არ ვარ დარწმუნებული, რომ ხელისუფლებას არ აქვს ბერკეტები ასეთი კონტროლისა, რამდენად არადემოკრატიული არ უნდა იყოს ასეთი ინტერესი.

დღევანდელი გადასახედიდან, ასეთი ორგანიზაციების მხარდამჭერი შეიძლება იყოს ამ ქვეყნის ღატაკი და ულუკმაპურო მოქალაქე. სამწუხაროდ, ვერც გავკიცხავთ და ვერც დავაჯერებთ იმაში, რომ ის თუ ახლა შიმშილობს, ოცი წლის მერე თუ შთამომავალი შემორჩა, ის აღარ იშიმშილებს. ამაზე ცოტა ადრე უნდა გვეფიქრა ყველას ერთად.

13 აპრილს კოალიცია „საქართველოს ეროვნული პლატფორმამ“ ევროპის მოედანზე ჩაატარა აქცია-კონცერტი — „მე ვირჩევ ევროპას“. ხელისუფლების მიერ ღიად იყო გაცხადებული, რომ ქვეყანა მიდის ევროპისკენ. როგორ ფიქრობთ, რატომ გახდა აუცილებელი ამ სახელწოდების აქციის გამართვა? აქციის ორგანიზატორები იყვნენ საზოგადოების წარმომადგნელები, მათ შორის „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაახლოებული პირები.

— რასაკვირველია, „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ არ დაესწრო, ასეთი კრემლის დაფინანსებით აქციები ჩატარდებოდა. თუ ამ ორი სუბიექტის ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, მაშინ, უფრო თავმოყვარე ნაწილმა, ასეთი დუეტიდან თავი უნდა გამიჯნოს.

თამთა ძარჩავა

◎ ალიან-ჩალიანი

დამნაშავეებს მაღალჩინოსნები მფარველობენ და ციხიდან ათავისუფლებენ

2013 წლის 25 ნოემბერს სადახლოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე მოკლული გიორგი ფირანიშვილის ბებია, გულიკო გიგიბერია ხელისუფლებას მოუწოდებს, მკვლელობის ფაქტზე დაკავებული პირები არ გაათავისუფლონ.

როგორც გულიკო გიგიბერიამ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, გიორგი ფირანიშვილის მკვლელობის ფაქტზე რვა პირი დააკავეს, რომელთაგან სამართალდამცავებმა ორი მაშინვე გაათავისუფლეს, ნოდარ დობორჯგინიძე და ანტონ ისაკაძე 13 აპრილს, გირაოთი გაუშვეს, ოთხი პირი კი წინასწარ პატიმრობაში რჩება.

გულიკო გიგიბერიას თქმით, დეტალების გასარკვევად მთავარი პროკურატურის პრესსამსახურის უფროსს, თემურ დოლიძეს დაურეკა, რომელმაც დაადასტურა ნოდარ დობორჯგინიძის და ანტონ ისაკაძის გათავისუფლება და მიზეზად საკმარისი მტკიცებულებების უქონლობა დაასახელა.

გულიკო გიგიბერიას ინფორმაციით, გიორგი ფირანიშვილის საქმეში დაკავებული პირები არაერთ სხვა საქმეშიც ფიგურირებენ. გიგიბერიას განცხადებით, აღნიშნულ დაჯგუფებას მაღალჩინოსნები მფარველობენ.

მისივე თქმით, სასამართლო პროცესი 4-ჯერ გადაიდო და ჯერაც არ ჩატარებულა.

— მოვითხოვ, ხელისფულებამ ზომები მიიღოს. მოვითხოვ, არ გამოუშვან არავინ და ესენიც დააბრუნონ ციხეში. საზოგადოებისთვის საშიში პიროვნებები არიან.

ეს მათი პირველი დანაშაული არ არის და არც უკანასკნელი, — განაცხადა გულიკო გიგიბერიამ და საზოგადოებას მხარში დგომისკენ მოუწოდა. 2013 წლის 25 ნოემბერს სადახლოს სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე თავდამსხმელებმა ცეცხლსასროლი იარაღით სამი პირი მერაბ კანადაძე, გიორგი ფირანიშვილი და დილარ მუკბანიანი დაჭრეს. მერაბ კანადაძე და გიორგი ფირანიშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალენ.

სანქცირებული რუსი მაღალჩინოსნების სია იზრდება

ევროკავშირმა იმ რუს მაღალჩინოსანთა სია გაზარდა, ვისაც უკრაინაში განხორციელებული ქმედებების გამო, სანქციები დაუწესა. ამის შესახებ ინფორმაციას „ევრონიუსი“ ავრცელებს. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ქეთრინ ეშტონის განცხადებით, სანქციები გულისხმობს ევროკავშირის ტერიტორიაზე მათთვის შესვლის აკრძალვასა და მათი საბანკო აქტივების გაყინვას.

ამასთან, ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის თქმით, ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინის ერთიანობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას.

ინტერპრესი

დიდი ხნის წინათ დასაწყები საქმე

გასული საუკუნის შუა ხანებში, ზოგ შემთხვევაში უფრო მოგვიანებითაც აშენებული საცხოვრებელი კორპუსების, ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოკვების“ და ზოგიერთი სხვა, სადღეისოდ ავარიული სახლის თემა ბოლო დროს მასმედიაში გარკვეულწილად აჟიტირებული საკითხი გახლავთ, რასაც ჩვენი გაზეთის გუშინდელი პუბლიკაციაც ეძღვნებოდა. დღეს თემას თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარესთან ნიკოლოზ ხაჩირაშვილთან ვაგრძელებთ.

— ავარიული სახლების „ქალაქის პანორამას“ თუ გადავავლებთ თვალს, მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა, — ამბობს ბატონი ნიკოლოზი. — მთლიანად თბილისში ოთხ და ხუთსართულიანი 520 ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვკა“ და კიდევ 280 მრავალსართულიანი კორპუსია ავარიულ მდგომარეობაში, დანარჩენები კი დაბალი, ორ-სამსართულიანი თბილისური ეზოების შენობებია. ისინი, ძირითადად, დედაქალაქის ძველ უბნებში — ჩუღურეთში, ნაძალადევში, სოლოლაკში, მთაწმინდაზე, ავლაბარში, ისანში და სხვაგან არიან განთავსებული, ხოლო, ასე ვთქვათ, დედაქალაქის „საავარიო ფონდი“ მთლიანად დაახლოებით 12 ათას სახლს ითვლის!

ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ესაა მძიმე მემკვიდრეობა, რომლის მოვლა-საპატრონოდ დიდი დრო ტყუილად დავკარგეთ, ბოლო ათი წლის მანძილზე თავისუფლად შეგვეძლო გვეზრუნა ამ პრობლემის გადაჭრაზე, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ეს საკითხი არც გახსენებიათ.

ამას მაშინდელი ხელისუფლება (ჩემდა სამწუხაროდ, მეც ამ პროცესის მონაწილე ვიყავი), იმით ხსნიდა, რომ პრობლემის გადაჭრას ძალიან დიდი ფინანსური სახსრები სჭირდებოდა და რადგან ფული არ იყო, ამ საკითხის გადასაწყვეტად არც სათანადო პროგრამა არ დასახულა და არც კონცეფცია არ შემუშავებულა. მაგრამ, მინდა ვთქვა, რომ პირადად მე საკითხისადმი ასეთ მიდგომას იმ დროსაც ვაპროტესტებდი და ახლაც იმავე პოზიციაზე ვარ. მიმაჩნია, რომ სჯობს ავარიული სახლების პრობლემისთვის თანხები დღესვე გამოვნახოთ, ვინაიდან ნებისმიერ შემთხვევაში, გარკვეული დროის შემდეგ, ვითარება კიდევ უფრო მეტად დამძიმდება და მდგომარეობის გამოსასწორებლად გაცილებით მეტი ფული გახდება საჭირო. **ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო კი ყოველთვის ვალდებულია შესაბამისი კონცეფცია შეიმუშაოს, განაშენიანების გეგმა შექმნას, დასახოს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელი გზები და, იმის მიუხედავად, რომ პრობლემის გადაჭრა ძვირია, გეგმაზომიერად დაიწყოს საავარიო ობიექტების, ასე ვთქვათ, „გამოხშირვა“**. ესაა პრობლემის გადაწყვეტისადმი სწორი მიდგომა, რომლის შესაბამისად მოქმედება 10 წლის წინათ მაინც რომ დაგვეწყო, ახლა საქმე გაცილებით წინ გვექნებოდა წაგდებული.

ბატონ ნიკოლოზ ხაჩირაშვილის თქმით, დედაქალაქის საკრებულომ თბილისის მერიას ცოტა ხნის წინათ შესთავაზა, რომ **ავარიული კორპუსები ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებისა და მოსახლეობის თანადაფინანსებით კი აღარ გამაგრდეს, არამედ ეს საქმე თავად მერიამ იკისროს.** აქამდე მერიას საკითხისადმი ასეთი მიდგომა ჰქონდა: ნებისმიერი საავარიო კორპუსის გასამაგრებლად საჭირო სახსრების 85 პროცენტს თავად, დანარჩენ 15 პროცენტს კი იქაური მობინადრეები იხდიდნენ. სისტემა უაღრესად მოუფიქრებელი რომაა, ამას მიმდინარე მოვლენებიც მოწმობს: თბილისში, ფაქტობრივად, არც ერთი ავარიული სახლი არ არის (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რომლის მოსახლეებს „იმ“ 15 პროცენტის შეგროვების ან საშუალება, ანდა, სულაც, სურვილი მაინც ჰქონდეს. ასეთი მიდგომა, საკრებულოს წევრის თქმით, უბრალოდ იაფფასიან პიარზე გათვლილი ფანდი იყო — საქმე, არსებითად „ქაღალდის ფურცელს არ გასცდენია“.

— დედაქალაქის საკრებულოში უმრავლესობით რომ მოვედით, იმთავითვე უარი ვთქვით საავარიო სახლების გამაგრებაში მოსახლეობის 15-პროცენტიან თანამონაწილეობაზე, რადგან ხალხი ფულის შეგროვებას მაინც ვერ ახერხებს, მდგომარეობა კი წლიდან წლამდე უარესდება. **ამიტომაც საავარიო სახლების პრობლემის გადაჭრა მთლიანად თბილისის მერიამ უნდა იკისროს და ეს ეტაპობრივად, წლებზე გადანაწილებულად უნდა გაკეთდეს,** — ამბობს ბატონი ნიკოლოზი. — დარწმუნებული ვარ, ეს საქმისადმი სწორი მიდგომაა და გრძელვადიან პერსპექტივაში ათიათასობით მოსახლე ბინით უზრუნველყოფილი იქნება.

ეს რაც შეეხება შენარჩუნებას დაქვემდებარებულ ავარიულ სახლებს. არის კიდევ სწორედ ის ყბადაღებული „ხრუშჩოვკების“ თემა, რომელთა ექსპლუატაციის ვადა გასულია. ამ კერძო შემთხვევაში საკითხისადმი სრულიად განსხვავებული მიდგომაა საჭირო. **გავიმეორებ: მთლიანად ეს საკითხი, ისევე როგორც არაბი ინვესტორის თემა, ზედმეტად აჟიტირებულია ჩვენი ოპონენტების მხრიდან.** ისმება კითხვა: რატომ და გადავიდა მთელი ყურადღება არაბ ინვესტორზე და არა, თუნდაც, ჩინელ ან ჩეხ ინვესტორებზე, რომლებთანაც თბილისის საკრებულო, შესაბამისად გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში, უკვე ნახევარი წელია მუშაობს? ეს ის ხალხია, რომლებსაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ამ ტიპის სახლების დანგრევისა და მათ ადგილას ახლების აშენების გამოცდილება აქვთ (აქვე ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ მემორანდუმი — ესაა ორ მხარეს შორის დადებული განზრახვების შესახებ პირობა და არანაირ ფინანსურ ვალდებულებებსა თუ გარანტიებს არ შეიცავს). ამდენად, ამ თემის ზედმეტად აქტუალიზაციამ უბრალოდ ის დაგვანახვა, რომ საკითხი მტკივნეულია, თავად სარეაბილიტაციო პროცესი კი, როგორც გითხარით, დიდი ხნის წინათ იყო დასაწყები. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ **თბილისის მერიამ აუცილებლად უნდა გამოაცხადოს ორეტაპიანი კონკურსი დედაქალაქის განაშენიანების რეგულირებაზე იმ ტერიტორიებზე, სადაც „ხრუშჩოვკებია“ აშენებული.**

ბატონი ნიკოლოზი ამბობს, რომ ის 520 „ხრუშჩოვკა“, რომლებიც საჯარო რეესტრში იძებნება და რომელთა არსებობას მონიტორინგიც ადასტურებს, 800 ათასი კვადრატულ მეტრ ფართობს მოიცავს. ყოველი სახლი დაახლოებით 1400-1500 კვადრატულ მეტრ მიწის ფართს იკავებს. მისი თქმით, მონიტორინგის ჯგუფს მთლიანობაში დათვლილი აქვს, თუ რამდენი ოთახია ამ სახლებში, რამდენია მოსახლე, ასევე გარკვეული აქვს ზედაპირული კვლევის კიდევ მრავალი სხვა პარამეტრი, რომელთა ცოდნა პირველი ეტაპის დასაწყებად აუცილებელია. მოკლედ, გამოიკვეთა ძალიან ბევრი საკითხი, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს, ხოლო საამისოდ საჭიროა თბილისის მერიამ შესაბამისი კონკურსი გამოაცხადოს, რის თაობაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. **პირველ ეტაპზე უნდა შემუშავდეს კონცეფცია და ეს პროცესი მოსახლეობისთვის სავსებით გამჭვირვალე უნდა იყოს, რა დროსაც უნდა ჩატარდეს ფართომასშტაბიანი კვლევები, რის შედეგად კომპეტენტური სპეციალისტები განსაზღვრავენ, თუ რა პარამეტრით უნდა შედგეს განაშენიანების რეგულირების გეგმები. ესენია სტანდარტული დოკუმენტები, რომლებიც მსგავს მასშტაბურ ყველა პროექტს წინ უნდა უსწრებდეს და ყველასთვის გასაგები უნდა იყოს. მეორე ეტაპი კი უკვე წმინდა არქიტექტურული განაშენიანების გეგმის შედგენას გულისხმობს, რომელიც თბილისს არა თუ „ხრუშჩოვკების დისლოკაციების ადგილებში, არამედ მთლიანადაც არა აქვს.**

— განაშენიანების რეგულირების გეგმა კი უკვე მოგვცემს ვიზიუალურ ესკიზს და თვალნათლივ დაგვანახვებს, თუ სად რომელი კორპუსი უნდა აშენდეს, სად უნდა გავიდეს ახალი გზა, სად განვითარდეს სარეკრეაციო ზონები, სად უნდა იყოს სკოლა, საბავშვო ბაღი თუ კულტურული ობიექტი და ა.შ., — განაგრძობს ბატონი ნიკოლოზი. **— სამწუხაროდ, საკრებულოს წინადადებაზე განაშენიანების რეგულირების კონკურსის გამოცხადების თაობაზე მერიამ თავი შეიკავა, რაც სრულიადაც არ მიკვირს, ვინაიდან ამდენი წლის განმავლობაში დედაქალაქის საბინაო ფონდთან დაკავშირებით მას, რომ იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებია არც მოკლე, არც, მით უმეტეს, გრძელვადიან პერსპექტივაში.** ჩემი მხრივ კი, როგორც საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, ვაცხადებ: **საავარიო სახლების მძაფრი პრობლემა არსებობს და მერიის პირდაპირი მოვალეობაა განაშენიანების რეგულირების თაობაზე კონკურსი გამოაცხადოს.** მიუხედავად მერიის მხრიდან ასეთი დამოკიდებულებისა, მაინც იმედს ვიტოვებ, რომ საკითხს სრული პასუხისმგებლობით მიუდგებიან და გადაწყვეტილებას შეცვლიან.

„ხრუშჩოვკების“ თემას რაც შეეხება, არის კიდევ ერთი გარემოება, რაზეც ყურადღების შეჩერება მინდა. **გარკვეული მცირედი კვლევების შედეგად, თბილისის მასშტაბით რამდენიმე მცირე უბანია შერჩეული, სადაც კომპაქტურად 5-6 „ხრუშჩოკაა“ განთავსებული. ერთ-ერთ ასეთ უბანზე, რომელიც ახლო მომავალში შეირჩევა, ვაპირებთ საპილოტე პროექტის განხორციელებას.** ასეთი უბნები შერჩეულია ვაჟა-ფშაველას პროსპექტზე, დიღმის მასივსა და ისანში, რომელთაგან ერთ-ერთს ავირჩევთ. როცა კი რომელიმე ქალაქში დიდმასშტაბიანი პროექტის განხორციელებას აპირებენ, მას წინ გარკვეულწილად მცირე მასშტაბის ექსპერიმენტული პროექტი უსწრებს ხოლმე, რომელიც მის დადებით და უარყოფით მხარეებს წარმოაჩენს და გარკვეული კორექტივების დროულად შეტანის შესაძლებლობას იძლევა. ამ ჯერზე განაშენიანების რეგულირების ასეთი მცირემასშტაბიანი პროექტის დასრულების სტადიაზე ვართ და ამის თაობაზეც მერიას ვთხოვეთ, რომ იგი იყოს წმინდა წყლის სოციალური პროექტი, ამდენი ხნის მანძილზე „არაფრის კეთების“ პოლიტიკის ვექტორი შევცვალოთ და ხალხში დამკვიდრებული უნდობლობის სინდრომი გავაქარწყლოთ, მოსახლეობას დავანახოთ, რომ ქალაქის ხელისუფლება მასზე ზრუნავს და პრობლემის გადაჭრის გზებიც არსებობს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ როგორც კი საკითხი პოლიტიკური ოპონირების სიბრტყეში გადავა, მოსახლეობას მის თაობაზე არასწორ ინფორმაცია მიეწოდება, ეს საქმეს კი არ წაადგება, აზარალებს. სწორედ საქმისადმი ასეთმა მიდგომამ განაპირობა ზემოთ ნახსენები მემორანდუმების მიმართ დამოკიდებულება, რასაც მხოლოდ არაჯანსაღი აჟიოტაჟი მოყვა.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: **თბილისის მერიამ აუცილებლად უნდა გამოაცხადოს განაშენიანების რეგულირების ორეტაპიანი კონკურსი**, რათა მკაფიოდ გავერკვეთ, სად უნდა ვეძიოთ ბიზნეს-ინვესტორები, სად განვახორციელოთ სოციალური პროექტები და ა.შ. ამ უკანასკნელში თუნდაც იმ პროექტებს ვგულისხმობთ, რომლებიც ძველი თბილისის ისტორიულ უბნებში განხორციელდა: ეს ის პროექტებია, რომელთაგან მერიას არანაირი კომერციული სარგებელი არ მიუღია — უბრალოდ, გარკვეული სახსრები დაიხარჯა და დედაქალაქს ძველი ისტორიული უბანი შეუნარჩუნდა.

მოკლედ, ჩვენ გვჭირდება იმ ხედვის ჩამოყალიბება, თუ როგორი უნდა იყოს დედაქალაქის მომავალი იერ-სახე, რათა მის მცხოვრებთათვისაც მაქსიმალურად კომფორტული იყოს და ისტორიული ხიბლი შეუნარჩუნდეს.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ვითარება

ვის აძლევს ხელს პრობლემების გამწვავება?

„სითი პარკი“ მძღოლებს ყოველ წელს 2,3 მილიონის ჯარიმას ახდევინებს

„სითი პარკი“ ჯარიმებით გადახდილმა თანხამ თბილისის მთავრობის ანგარიშზე 2009-2013 წლებში, სულ მცირე, 11,6 მილიონი ლარი შეადგინა, გამოდის, რომ „სითი პარკი“ ყოველწლიურად ჯარიმების სახით 2,3 მლნ ლარს იღებს, ერთ თვეში კი დაახლოებით 200 ათას ლარს.

გაცილებით ადრინდელი (2007-2009 წლების) მონაცემები არასამთავრობო ორგანიზაცია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) ვერ მოიპოვა, მიუხედავად თბილისის მერისთვის გაგზავნილი ოფიციალური წერილისა. ისევე, როგორც ვერ მოიპოვა ინფორმაცია „სითი პარკის“ მთელი არსებობის მანძილზე პარკირების საფასურით ჩარიცხული თანხების შესახებ.

განსაკუთრებით საყურადღებო აღმოჩნდა 2010 წლის ივნისისა და დეკემბრის ანგარიშები, რომლებიც 2010 წლის 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს — საკრებულოს და ქ. თბილისის მერის არჩევნების პერიოდს ემთხვევა. როგორც კვლევაშია აღნიშნული, **„საზოგადოების ინფორმირების მიზნით არ ჩატარებულა დამატებითი ღონისძიებები, რაც განპირობებული იყო საგადახდო სისტემების გაუქმებით, აგრეთვე, თბილისის მთავრობის სურვილის გათვალისწინებით, რომ მოახლოებულ არჩევნებთან დაკავშირებით ყოფილიყო ნაკლები ხმაური პარკირების საკითხთან დაკავშირებით“.**

„აქედან შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდებში, ასევე ცალკეულ შემთხვევებში თბილისი მერია „სითი პარკის“ საქმიანობას საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებდა. განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მსგავსი მანიპულაციები ხორციელდებოდა არჩევნების წინ მოსახლეობის განწყობაზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“, — აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.

7 წლის წინათ მერიასა და „სითი პარკს“ შორის დადებული ხელშეკრულების ნაწილი კვლავ მიუწვდომელია. საკრებულოს წევრთა ნაწილი მიიჩნევს, რომ კომპანიაში შესული თანხები და დანახარჯები არაპროპორციულია, რაც ხელშეკრულების დამდები ორივე მხარის მიმართ კითხვებს ბადებს.

„თბილისის მერიასა და „სითი პარკს“ შორის რომ არაჯანსაღი საეჭვო გარიგებები არსებობს, ეს საზოგადოებისათვის უკვე კარგა ხანია, ცნობილია. თუმცა, ამჟამად, მათი ჩანაფიქრი ბევრად უფრო მზაკვრულია და მიზნად ისახავს ადგილობრივი არჩევნების წინ მოსახლეობის უარყოფითი განწყობილების გამოწვევას და ამით მანიპულირებას“, — აცხადებს დედაქალაქის საკრებულოს წევრი, „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე.

მაგალითად, დინამოს სტადიონისა და ცენტრალური ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის ავტოსადგომზე (წინამძღვრიშვილის ქ. №137-137ა) შუაღამისას, მალულად, ვინმე შპს „ჯორჯია — 2008“-მ, შემდგომში კომერციული გამოყენების მიზნით, დაახლოებით 300-400 კვ/მ-ზე დადგა რკინის მძიმე კონსტრუქციები.

„შპს „ჯორჯია — 2008“-მ, შენობა-ნაგებობის განთავსების ნებართვა მიიღო თბილისის არქიტექტურის სამსახურიდან (გადაწყვეტილება №11122936. 13. 02. 2014). ყველაზე უკეთ სწორედ მერიის შესაბამის სამსახურებს უნდა ესმოდეთ, რომ დედაქალაქში პარკინგის სერიოზული პრობლემაა. იმ ტერიტორიაზე, სადაც მდებარეობს სტადიონი, ცენტრალური ბაზარი და ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობაა, ამ ტიპის გადაწყვეტილება მერიის არქიტექტურის სამსახურის მხრიდან დანაშაულია.

ჩვენ ვხედავთ საშიშროებას, რომ მალე დედაქალაქში ავტოსადგომებს კომერციული დანიშნულების ობიექტები ჩაანაცვლებს და ისედაც მძიმე ვითარება კიდევ უფრო გამწვავდება. მივმართავ ქ. თბილისის მთავრობას, გააუქმოს აღნიშნული გადაწყვეტილება და ერთხელ და სამუდამოდ თქვას უარი იმ ტიპის ქმედებებზე, რომლებიც დედაქალაქში პრობლემების გამწვავებას და მოსახლეობის უკმაყოფილების გაზრდას იწვევს“, — აცხადებს გულიკო ზუმბაძე.

გეძა დანელია

◎ საგანგაშო თემა!

ხელოვნების მუზეუმი თუ ექსპონატების საწყობი?!.

ხელოვნებათმცოდნე გიორგი მარსაგიშვილი ის კაცია, მრავალი წლის განმავლობაში ერთგულებით, დიდი პროფესიონალიზმით რომ ემსახურება ქართულ სახვით ხელოვნებას, კერძოდ, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმს, ამჟამად არის მისი კონსერვატორი და ამ უმნიშვნელოვანესი ეროვნული დაწესებულების ავ-კარგი საკუთარი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად მიაჩნია.

ამჟამად ხელოვნების მუზეუმს, მართლაც ავი დღე უდგას და გიორგი მარსაგიშვილმა საჭიროდ მიიჩნია, ყოველივე ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის გაეზიარებინა.

იგი საუბარს ცოტა შორიდან იწყებს:

— პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის 2004 წლის 30 დეკემბრის ბრძანებით ხელოვნების მუზეუმისა და საქართველოს სხვა წამყვანი მუზეუმების ბაზაზე შეიქმნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი — „საქართველოს ეროვნული მუზეუმი“. მას გადაეცა მუზეუმის ბალანსზე რიცხული მთელი ქონება (გაერთიანების სახელზე ქონების სრული გადაცემა ჩვენთვის უცნობი იყო, რადგან ჩვენ ბრძანების ტექსტის მე-5 პარაგრაფი არ გაგვაცნეს და ასევე იყო სიტყვიერი დაპირება — ხელოვნების მუზეუმი როცა მოისურვებდა, მაშინ გამოვიდოდა ეროვნული მუზეუმიდან). მას შემდეგ ეროვნული მუზეუმის დირექციის ბრძანებების საფუძველზე, რემონტის ან აღწერის საბაბით გაუქმდა: ახალი და თანამედროვე ქართული ხელოვნების, დასავლეთ ევროპის ხელოვნების, რუსული ხელოვნების ექპოზიციები. ხელოვნების მუზეუმიდან სხვა შენობაში დაიდო ბინა აღმოსავლეთის ხალხთა ხელოვნების ექსპოზიციამ. იმ მოსაზრებით, რომ მზადდებოდა დიდი გამოფენა. ოთხი წლის წინათ ეროვნულ მუზეუმში შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების საექსპოზიციო დარბაზებიდან „დროებით“ გადაიტანეს მნიშვნელოვანი ექსპონატები და დაიხურა ეს ექსპოზიციაც (დღემდე ეს გამოფენა ეროვნულ მუზეუმში არ გახსნილა, გადატანის ვადა გაგრძელდა ორჯერ, ბოლოს 2013 წლის ბოლომდე). ხელოვნების მუზეუმიდან ეროვნულ მუზეუმში გადატანილია ა. როინიშვილ-დ.ერმაკოვის უნიკალური ფოტომასალა (რომელიც დიმიტრი შევარდნაძემ, ექვთიმე თაყაიშვილის დახმარებით, 1919 წელს შეიძინა იმ დროს უკვე დაგეგმილი ხელოვნების მუზეუმისთვის).

დღეს მუზეუმში არსებობს მხოლოდ საგანძური, თუმცა, მცდელობა მისი დახურვისა რამდენჯერმე იყო. ეროვნულ მუზეუმში ისევ „დროებით“ გადატანილია წინაქრისტიანული ხანის ექსპოზიციიდან საირხის არქეოლოგიური მონაპოვარი — 15 დასახელების 48 ერთეული. ვადა მათი დაბრუნებისა დიდი ხანია, ამოიწურა. მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, დღემდე ხელოვნების მუზეუმმა „ვერ“ დაიბრუნა ექსპონატები. ასევე ხელოვნების მუზეუმიდან გადატანილია დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, სერგო ქობულაძის, კირილ ზდანევიჩის, სოლიკო ვირსალაძის, დიმიტრი შევარდნაძის, გიგო გაბაშვილის და სხვა ქართველი მხატვრების (სულ 27 მხატვრის) მნიშვნელოვანი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. ხელოვნების მუზეუმში დაცული ნიკო ფიროსმანაშვილის 146 ფერწერიდან 114 მუზეუმს აღარ დაუბრუნდა (აქედან ხელოვნების მუზეუმის კუთვნილი 14 ფიროსმანაშვილის ფერწერა კატალოგისა და ღია ბარათებზე წარწერებით „სიღნაღის მუზეუმის კოლექციიდან“ ყოფილა. თბილისში გასაყიდად გამოტანილი ორ ათეულზე მეტი ღია ბარათზე წარწერით „საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციაა“).

ფაქტობრივად, ხელოვნების მუზეუმი დარჩენილი ექსპონატების საწყობია და აღარ არსებობს როგორც მუზეუმი. თუ ადრე სამხატვრო აკადემიის, სასულიერო სემინარიისა და აკადემიის, უნივერსიტეტის, თბილისის ხელოვნების უმაღლესი სკოლის სტუდენტთა სასწავლო ბაზას წარმოადგენდა, დღეს ისინიც აღარ გვაკითხავენ, რადგან მათთვისაც ექსპოზიცია გაუქმებულია (ვითხოვდი მუზეუმის ფონდების მეშვეობით აღგვედგინა შუა საუკუნეების ქართული ხელოვნების ექსპოზიცია სტუდენტებისთვის, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია).

აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაერთიანებულ მუზეუმებს დაეკარგათ ისტორიულად ჩამოყალიბებული სახე, ქართულ კულტურაში აღარ არსებობს მათთვის განსაზღვრული ფუნქცია (ეს უპირველესად ითქმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმსა და სიმონ ჯანაშიას სახელობის ისტორიულ მუზეუმზე). ჩვენ ბოლო წლებში და დღესაც სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია და სამუზეუმო კანონმდებლობაზე მუშაობა აუცილებლად მიგვაჩნია, სრულყოფილმა კანონმდებლობამ მუზეუმები უნდა დაიცვას ხელყოფისაგან ან განადგურებისაგან. სამწუხაროდ ხელოვნების მუზეუმის მომავალი დღეს დამოკიდებულია მმართველის კეთილ განწყობაზე და არა გააზრებულ კანონმდებლობაზე.

გვინდა გავიხსენოთ ივანე ჯავახიშვილის სიტყვები: **„ევროპაში ჩამოყალიბებული სამუზეუმო ამოცანების შეცვლა და ახლებურის დამკვიდრება, საზიანო იქნება ისეთი მცირე ერებისათვის, როგორც ჩვენ ვართ“.** დიმიტრი შევარდნაძემ 1916 წელს მიუნხენიდან დაბრუნების შემდეგ (მოკრძალებული ბიუჯეტით), სწორედ ევროპაში დამკვიდრებული სახელმწიფო მუზეუმის შემუშავებულ წესებზე დამყარებული მუზეუმი დააარსა (1937 წელს დიმიტრი შევარდნაძე ამ მუზეუმის შექმნას შეეწირა).

და ბოლოს, თქვენი გაზეთის საშუალებით, გვინდა, ვთხოვოთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, იქნებ, თავად გაეცნოს მუზეუმის მძიმე მდგომარეობას.

ჩვენ მისი დახმარების დიდი იმედი გვაქვს! — ამბობს გიორგი მარსაგიშვილი.

ჩაიწერა
ვილენ მარდალეიშვილმა

◎ გამოცემა

„სამი საუნჯის“ ახალი ნომერი

დაიბეჭდა სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალის „სამი საუნჯის“ 2014 წლის პირველი კვარტლის ნომერი — მარტი, 1 (11). მასში, ჩვეულებისამებრ, ქვეყნის საჭირბოროტო საკითხებზე მომზადებული სტატიები რუბრიკებად არის წარმოდგენილი — განათლება, ქართლის ცხოვრება, პოლიტიკა, არმენოლოგია, ბიოეთიკა.

გიორგი გოგოლაშვილის წერილში **„ფრთხილად, კლასიკაა!“** მხილებულია ბოლო დროს წარმოშობილი ის მავნე ტენდენცია, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ახალ ქართულ ენაზე „თარგმნას“ უკავშირდება. თეიმურაზ ფანჯიკიძის სტატიაში **„ჟამი ნგრევისა და უგუნურებისა“** მოთხრობილია, თუ როგორ გაუქმეს „ნაციონალური მოძრაობის“ ვაირეფორმატორებმა 2006 წელს რელიგიათმცოდნეობისა და ეთიკის კათედრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. თინა იველაშვილის წერილში **„საუკუნის დანაშაულად“** გამოცხადებულია საქართველოს წინა და ახლანდელ მთავრობათა მიერ მიღებული ის კანონები და დადგენილებანი, რომელთა საფუძველზე სხვადასხვა კონფესია და სექტა მართლმადიდებლობას გაუთანაბრეს და მათი სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება უზრუნველყვეს. მამუკა ცუხიშვილის სტატიაში **„ქართველ მამულიშვილთა საქმეს გამგრძელებელი სჭირდება“** დიდი ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ლიტერატურულ-პუბლიცისტურ ნაწარმოებთა საფუძველზე განხილულია საკითხი რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულებისა და ნაჩვენებია, რომ ისინი ერთმნიშვნელოვნად უჭერდნენ მხარს რუსეთ-საქართველოს მჭიდრო ურთიერთობას და დაუფარავად გამოხატავდნენ მადლიერებას დიდი მეზობლის მიმართ. გვანცა კოპლატაძის ნარკვევში **„სამცხე-ჯავახეთის საათაბაგო XIX ს-ის პირველ ნახევარში“** წარმოჩენილია, ერთი მხრივ, მოღალატე წინაპართა ნამოქმედარი, რომლებმაც სამცხე-ჯავახეთი სამშობლოს მოწყვიტეს და ახალციხის საფაშოდ გადაქციეს, მეორე მხრივ კი — დამსახურება რუსეთის იმპერიისა, რომელმაც დაკარგული მხარე ისტორიულ სამშობლოს დაუბრუნა. გულბაათ რცხილაძე სტატიის სათაურად გამოტანილ შეკითხვას **„რატომ ეწინააღმდეგება დასავლეთი უკრაინისგან ყირიმის გამოყოფას?“** თვითონვე უპასუხებს: ყირიმი დასავლეთისთვის იმდენად არა გეოგრაფიულად, არამედ უფრო როგორც პრეცედენტი, არის მნიშვნელოვანი; ვინაიდან რუსეთი დახმარებას უწევს რა ყირიმის მოსახლეობას, ამასთანავე, უფლებას იტოვებს, ჩაერთოს უკრაინის სხვა მხარეებში მიმდინარე პროცესებშიც. შოთა აფხაიძე **„უკრაინული მაიდნის თავიდან აცილების გზას“** იმაში ხედავს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სასწრაფოდ უნდა გაატაროს საკადრო ცვლილებები და ძალოვანი და სხვა სტრუქტურები გაწმინდოს დამნაშავე რეჟიმის ნარჩენებისგან, გამოიძიოს დამნაშავე რეჟიმის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაული და დააწესოს მაქსიმალური სანქციები, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიზნით რეალურად დაიწყოს რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, მკვეთრად შეკვეცოს მაღალი თანამდებობის პირებზე გასაწევი სახელმწიფო ხარჯები და აღმოფხვრას კლანურობა. ბონდო არველაძე თავის წერილში **„კათალიკოს დომენტი III ეპიტაფიის გამო“** ასაბუთებს, რომ ქართველოლოგ პ. მურადიანის განზოგადებული დასკვნები, XVII ს-ის მცხეთაში სომხური მოსახლეობის არსებობაზე, ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული. ჟურნალის რედაქტორის გრიგოლ რუხაძის სტატიაში გამოტანილი დასკვნით **„კონტრაცეფციის, აბორტისა და სუროგაციის რელიგიური შეფასება“** ასეთია: როგორც ადამიანის ხელოვნურად ჩასახვის ყველა მეთოდი, ისე აბორტი და ჩასახვის საწინააღმდეგო ყველა საშუალება არის მიუღებელი და ამორალური.

ჟურნალში ასევე შეტანილია თეზისები ვალერიან მაჭარაძის ნარკვევისა **„თეიმურაზ მეორის ელჩობა რუსეთში“,** მამულიშვილთა მოსახსენებელი, ცნობები ჟურნალში წარმოდგენილ ავტორთა შესახებ და რეზიუმეები რუსულ და ინგლისურ ენებზე. ვებ-გვერდის მისამართია: www.sinergia.ge

მამუკა ვაშაკიძე

◎ ალიან-ჩალიანი

რითი დაეხმარა „გაღლეტილი გიგი“ სიმამრს?

გიგი უგულავას სიმამრს შალვა კილაძეს რუსთავის საქალაქო სასამართლომ 20 ათასლარიანი გირაო შეუფარდა. პროცესი გუშინ გაიმართა. პროკურატურა შალვა კილაძისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით 100 ათასი ლარის გირაოს შეფარდებას ითხოვდა.

მოსამართლე მაკა გველესიანის გადაწყვეტილებით, შალვა კილაძემ აღნიშნული თანხა 40 დღის ვადაში უნდა გადაიხადოს. როგორც გიგი უგულავას სიმამრ შალვა კილაძის ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა განაცხადა, ის ოჯახის წევრებთან კონსულტაციას გაივლის და ამის შემდეგ გადაწყვეტენ, გაასაჩივრებს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილებას შალვა კილაძე.

დაუბეგრავი მინიმუმის უფლებით მოსარგებლეთა რიცხვი იზრდება

შემოსავლების სამსახურის პროგნოზით, დაუბეგრავი მინიმუმის უფლებით მოსარგებლეთა რიცხვმა შესაძლოა, 500 000-ის ნაცვალდ დაახლოებით 600 000 შეადგინოს , — ამის შესახებ ჟურნალისტებს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ხატია მოისწრაფიშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნების პროცესისადმი არსებული მაღალი ინტერესიდან გამომდინარე შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე შეიქმნა ახალი აპლიკაცია სახელწოდებით „დაუბეგრავი მინიმუმის რეგისტრირებული დეკლარაციების რაოდენობა“. პირველი აპრილიდან დღემდე შევსებული დეკლარაციების რაოდენობა 394 662-ს შეადგენს, ხოლო დაბრუნებული თანხა 35 728 368 ლარია.

◎ კითხული კაცის აზრი

სტრაბონი თუ ვინკელმანი?

გასული საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ბუკინისტური წიგნების მაღაზიაში შევიძინე XVII საუკუნეში მოღვაწე გერმანელი ანტიკური ხელოვნების ისტორიკოსის იოჰან იოახიმ ვინკელმანის რუსულ ენაზე გამოცემული წიგნი „История искусства древнисти“ (გამომც. „Academia“, 1993). ამ მეტად საინტერესო წიგნის კითხვისას ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ ადგილებმა, სადაც მოხსენიებულია ქართველი ხალხი და საქართველო. აი, ისინიც:

1. „Ведь и сейчас ещё сушествуют целые народы у которых красота вовсе не считается преимуществом, так как все красивы. Путешественники единодушно говорять это о грузинах. То же самое рассказывают их о кабардинцах _ племени, обитающем в Кримской Татарии“.

2. „Такой климат выращивает среди людей прекраснейшие и стройные создания и особи, у которых склонности соответсвуют их. это доказывает и страна красивых люлей – Грузия, которая, чистому и безоблачному небу обязана своим плодородием“.

ქართულად ეს გამონათქვამები შეტანილი აქვს ვიქტორ კახნიაშვილს წიგნში „კოლხ მედეადან თანამედროვე საქართველომდე“ (გამომც. „მერანი“, 1984). პირველ ციტატას ავტორი ასე თარგმნის: „ამჟამადაც ხომ არსებობს ხალხი დედამიწის რომელიმე კუთხეში, სადაც, რაკიღა ყველა ლამაზია, ამიტომ სილამაზე უპირატესობად არ მიიჩნევა. მოგზაურები ერთხმად ამბობენ ამას ქართველებზე“.

ზემოთ მოყვანილ ქართულ და რუსულ ტექსტებს შორის მცირეოდენი განსხვავებაა – ქართულ თარგმანში მოხსენიებულნი არ არიან ყაბარდოელები.

აკაკი გელოვანს თავის „სიბრძნის სიმფონიაში“ (გამომც. „ხელოვნება“, 1989) განყოფილებაში „სხვათა სიტყვით“, მოჰყავს ვინკელმანის ორივე ციტატის საკუთარი თარგმანი. ჩვენთვის საინტერესო ციტატა ასეა მოცემული: „არიან ქვეყნები, სადაც სილამაზე უპირატესობად არც ითვლება, რადგან ყველა ლამაზია. მოგზაურები ამას ერთხმად ამბობენ საქართველოზე“.

როგორც ვხედავთ, აკ. გელოვანი „ხალხისა“ და „ქართველების“ ნაცვლად წერს „ქვეყნებსა“ და „საქართველოს“.

სწორედ ეს ციტატა გახდა მიზეზი ამ წერილის დაწერისა. დაკაბადონებისას დაშვებული, ერთი შეხედვით უმნიშვნელო წუნი ვერ შენიშნეს ვერც„ სიბრძნის სიმფონიის“ ავტორმა და ვერც წიგნზე მომუშავე გამომცემლობის მუშაკებმა. კერძოდ, 753-ე გვერდის ბოლოსა და 754-ე გვერდის თავში განთავსებულია ვინკელმანის ორი ციტატა. პირველისაგან განსხვავებით, მეორე ნაწყვეტს მიწერილი არა აქვს ავტორის გვარი – ვინკელმანი. სამი ვარსკვლავით მონიშნული ხარვეზის შემდეგ ვინკელმანის ტექსტს მიჰყვება სტრაბონის სიტყვები სვანების შესახებ. მკითხველს, თუ კარგად არ ჩაუკვირდება ტექსტების შინაარსს, ექმნება შთაბეჭდილება, რომ ორივე ნაწყვეტი სტრაბონისაა.

100.000-იანი ტირაჟით დაბეჭდილ წიგნში მოთავსებული ეს შეცდომა თუ ტექნიკური წუნი წლების მანძილზე გადადის ერთი გამოცემიდან მეორეში, გაზეთებში, ინტერნეტ-გამოცემებში.

მხოლოდ გიორგი გაბესკირიას წიგნში „...სადაც ქართველი გადაწვდება...“ (საგამომც. – პოლიგრაფიული სახლი „კაბადონი“, 1999) ამოვიკითხე ვინკელმანის გამონათქვამი ისე, როგორც ვიქტორ კახნიაშვილს აქვს ნათარგმნი. ქვემოთ ჩამოთვლილ სხვა ყველა გამოცემაში კი, რომელიც უშუალოდ მინახავს და წამიკითხავს, ვინკელმანის აღნიშნული ციტატა მოყვანილია აკ. გელოვანის წიგნიდან და ყველგან ავტორად მითითებულია სტრაბონი.

1999 წლის 29 დაკემბერს გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ (№353) აქვეყნებს ნინო ხოფერიას წერილს „წინაპართაგან წასულა ყველა“... რომელსაც წამძღვარებული აქვს ვინკელმანის სიტყვები გელოვანის წიგნიდან. ციტატის ავტორად მითითებულია სტრაბონი. ორი დღის შემდეგ, 31 დეკემბერს, იმავე გაზეთში (№355) დაიბეჭდა ჩემი მცირე შენიშვნა „სტრაბონი მითითებულია არასწორად“.

უცნაური სახით დაბეჭდა გაზეთმა „ჯორჯიან-თაიმსმა“ (№9,10-17.03.2005) ნანა გაგუას წერილში „ჩვენ რიგითი ჯარისკაცები ვართ“ ნაწყვეტები ვინკელმანისა და სტრაბონის ციტატებიდან. წერილის ავტორმა ისინი ერთ ციტატად აქცია და მიაკუთვნა სტრაბონს. ამასთან, ამ ნაზავში, ტექსტების ნაწილი შეკვეცილია, გამოტოვებულია ზოგიერთი სიტყვა, შეცვლილია მათი წყობა და ვითომდა სტრაბონის გამონათქვამი, ასეთი სახითაა შემოთავაზებული: „არის ქვეყნები, სადაც ყველა ლამაზია. ამას ერთხმად ამბობენ მოგზაურები საქართველოზე. დიოსკურიის მახლობლად ცხოვრობენ სვანები. ძალგულოვანნი და შეუპოვარნი. მათ კავკასიის მაღალი მთებიც უჭირავთ და ყველა მეზობელ გვარ-ტომს განაგებენ. ჰყავთ მეფე და სამასკაციანი საბჭო“.

ვერც „სიბრძნის ენციკლოპედიის“ შემდგენელმა გივი კალანდაძემ აუარა გვერდი შეცდომას. გამომცემლობა „პალიტრა L“-ის მიერ ახლახან დასტამბული IX წიგნის 35-ე გვერდზე ვინკელმანის სიტყვები მიწერილი აქვს სტრაბონს, ხოლო 36-ე გვერდზე არასწორადაა მითითებული ციტატის ავტორის სახელი – იოჰან ვინკელმანის ნაცვლად დაბეჭდილია სტეან ვინკელმანი. აქ, ალბათ, უნებლიე შეცდომასთან გვაქვს საქმე, რადგან იმავე ენციკლოპედიაში ვინკელმანის სხვა გამონათქვამს (წიგნი V, გვ. 120) სახელი სწორად აქვს მიწერილი.

ბოლო წლებში ელექტრონულმა მედიამაც შეიტანა თავისი წვლილი უზუსტობის გავრცელებაში. სხვადასხვა ინტერნეტ-გამოცემაში, ვებგვერდსა თუ ფეისბუკზე განმეორებულია ის შეცდომა, რომლის შესახებაც ზემოთ ვისაუბრეთ. ზოგიერთს მთლიანად მოჰყავს გელოვანის წიგნის შესაბამისი განყოფილება, ზოგი მხოლოდ იმ ერთ ციტატას ათავსებს, ზოგიც აქვეყნებს ნესტან ბლუაშვილის მიერ გელოვანის წიგნის მიხედვით მომზადებულ მასალას: „უცხოელი მოგზაურები საქართველოსა და ქართველების შესახებ“.

უკანასკნელი 20-25 წლის განმავლობაში ისე სწრაფად გაიზარდა და ამჟამად იზრდება ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და გადაცემის საშუალებათა რაოდენობა, რომ, გამორიცხული არაა, სტრაბონს მიკუთვნებული გამონათქვამი ჩემთვის ხელმიუწვდომელ სხვა გამოცემებშიც იყოს.

იმედია, ამ წერილის შემდეგ, ყველგან, სადაც მოსახერხებელია, უზუსტობა გასწორდება და ქართველი ხალხის შესახებ გამოთქმულ სიტყვებს დაუბრუნდება ნამდვილი ავტორი – ვინკელმანი.

ვახტანგ დოხნაძე

დედამიწის ზურგზე

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა არ გამორიცხა უკრაინისთვის იარაღის მიწოდების შესაძლებლობა

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ თომას შენომ განაცხადა, რომ ამერიკა განიხილავს ამ საკითხს სხვა ვარიანტებთან ერთად. მაგრამ რაც შეეხება უკრაინის უშუალო სამხედრო მხარდაჭერას, ნატოს ჩარევა უკრაინის ამბებში გამორიცხული არ არის.

* * *

კანადამ ბრალი დასდო რუსეთს აღმოსავლეთ უკრაინაში ვითარების დესტაბილიზაციაში და აღნიშნა, რომ არ მისცემს მას საშუალებას „აღმა შეაბრუნოს დრო“.

კანადის ხელისუფლება დარწმუნებულია: რუსეთის მოქმედებების გამო უკრაინასთან დაკავშირებით გაჩნდა უშიშროების საფრთხე „მთელ მსოფლიოში“. ამგვარ საფრთხეს, კანადის ხელისუფლების აზრით, მსოფლიო არ გადაყრია ცივი ომის შემდეგ.

* * *

უკრაინაში კვლავ გაისმის მოწოდებები, დაიხუროს საზღვარი რუსეთთან, ამჯერად – „მემარჯვენე სექტორისგან“

„მემარჯვენე სექტორმა“ ბრალი დასდო უკრაინის ხელისუფლებას საბოტაჟსა და არაპროფესიონალიზმში და მოითხოვა გადაიკეტოს საზღვარი რუსეთთან, გაანადგურონ ყველა „მწვანე პატარა ადამიანები“. ასეთივე მოწოდებით გამოდიან კლიჩკო და ლვოვის მაიდანი. უკრაინის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამბობს, რომ სახსრები საზღვრის გადაკეტვისთვის არის, თუმცა, კიევს იმედი აქვს, რომ კონფლიქტს მოაწესრიგებს.

* * *

პენტაგონმა შავ ზღვაზე საესკადრო ნაღმოსნის „დაბომბვის იმიტაციის“ შემდეგ ბრალი დასდო რუსეთის ფედერაციას პროვოკაციაში

რუსეთის სუ-24-მა 12-ჯერ გადაიფრინა ამერიკის საესკადრო ნაღმოსნის მახლობლად შავ ზღვაზე. ამერიკის ხომალდი მონაწილეობას ღებულობს რუმინეთის ტერიტორიულ, აგრეთვე საერთაშორისო წყლებში ერთობლივ სამხედრო სწავლებაში. რუსული თვითმფრინავის მანევრების დროს საესკადრო ნაღმოსანი საერთაშორისო წყლებში იყო.

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მეორე პროექტი**

განმახორციელებელი სააგენტო:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ქვეყანა: **საქართველო**
პროექტის ნომერი: **P122204**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRPII/CW/NCB – 16**
კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **ჭიათურა – პერევისა – სვერი - თვალუეთი – გეზრულის საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტირება-მშენებლობა)**
კონტრაქტის ხანგრძლივობა: **16 თვე**
შესაფასებელი ვალუტა: **ლარი**

შეფასებული კომპანიები:
დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. "ტ და გ" და შ.პ.ს. "ავტობანი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდი დიღომი, თავდადებულის ქუჩა №22
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,151,996.96 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 4,916,000.00 ლარი

დასახელება: შ.პ.ს. "კომპანია ბლექ სი გრუპი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №71
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,888,888.85 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 5,888,888.85 ლარი

გამარჯვებული კომპანია:
დასახელება: ერთობლივი საწარმო შ.პ.ს. "ტ და გ" და შ.პ.ს. "ავტობანი"
მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდი დიღომი, თავდადებულის ქუჩა №22
ტენდერის გახსნისას ამოკითხული სატენდერო წინადადების ფასი: 5,151,996.96 ლარი
სატენდერო წინადადების კორექტირებული ფასი: 4,916,000.00 ლარი
საკონტრაქტო ღირებულება: 4,916,000.00 ლარი

Contract Award Notification

Project Name: **Second Secondary and Local Roads Project (SLRP II)**
The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**
Country: **Georgia**
Project Number: **P122204**

Bid/Contract Reference No: **SLRP II/CW/NCB - 16**
Scope of Contract: **Design – Build and Transfer of Chiatura – Perevisa – Sveri – Tvalueti - Gezruli Road Rehabilitation under Output- and Performance-based Road Contracting Methodology**
Duration of Contract: **16 months**
Evaluation Currency: **Georgian Lari**

Evaluated Bidders:
Name: JV "T&G" Ltd. and "Avtobani" Ltd.
Address: #22 Tavdadebuli street, Didi Digomi, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,151,996.96 Gel
Evaluated bid price: 4,916,000.00 Gel

Name: "Company Black Sea Group" Ltd.
Address: #71 Vazha Pshavela Ave.,0186 Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,888,888.85 Gel
Evaluated bid price: 5,888,888.85 Gel

Awarded Bidder:
Name: JV "T&G" Ltd. and "Avtobani" Ltd.
Address: #22 Tavdadebuli street, Didi Digomi, Tbilisi, Georgia
Bid price at bid opening: 5,151,996.96 Gel
Evaluated bid price: 4,916,000.00 Gel
Contract Price: 4,916,000.00 Gel

◎ არდავიწყება

გულმადლიანად იღვაწა და იქართველა

ისევე როგორც ყოველთვის, წლეულს 12 აპრილსაც, მედეა მეზვრიშვილის ახლობელ-მეგობრებმა, მისი დაბადების დღის აღსანიშნავად, დათქმულ საათზე თავი მოვიყარეთ ვაკის პარკთან, ავტობუსში უხმოდ დავიკავეთ ადგილები და საგარეჯოსკენ გავემართეთ. უკვე მეხუთე წელია ჩვენ შორის აღარ არის, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მედიკო, ყველასათვის საყვარელი და სათაყვანებელი ქალბატონი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ქვეყნის აღმშენებლობას მოახმარა.

წინა წლებისგან განსხვავებით, როცა პოლიტიკური ღრუბლიანობის პირობებში ბევრი გაურბოდა თავის რწმენისა და შეხედულებების ღიად გამოხატვას და მხოლოდ მეგობრების ვიწრო წრე ვეწვეოდით ხოლმე მედიკოს სამუდამო განსასვენებელს, ამჯერად სიტუაცია შეიცვალა – ხელთა გვაქვს საგარეჯოდან გამოგზავნილი მოსაწვევი ბარათები, რომელშიც ვკითხულობთ: **12 აპრილს, დღის 2 საათზე, ქალთა რაიონული საბჭო კულტურის სასახლეში აწყობს მედეა მეზვრიშვილის ხსოვნის საღამოს, სადაც თავს მოიყრიან მისი უახლოესი მეგობრები, ახლობლები, თანაკლასელები, საგარეჯოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. მანამდე კი განსვენებულის საფლავზე აღევლინება საეკლესიო პარაკლისი.**

ასეც მოხდა, დათქმულ დროზე, მთის ფერდობზე შეფენილ გარეჯელთა კოპწია საიმქვეყნეთში, სადაც სხვათაგან არაფრით გამორჩეულ საფლავში, საფიცარი ძმის, ომარ მეზვრიშვილის გვერდით, ქალბატონი მედიკო განისვენებს, დედაქალაქიდან, თელავიდან, გურჯაანიდან, კახეთის სხვა რაიონებიდან მისი ნიჭისა და ღვაწლის დამფასებელმა უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი. დიდი სითბო და პატივი იგრძნობოდა პარაკლისში, რომელიც საგარეჯოს ღვთისმშობლის ეკლესიის დეკანოზმა მირიანმა აღავლინა.

ხალხმრავლობა იყო კულტურის სასახლეშიც, სადაც ღონისძიების მონაწილეებს სიურპრიზად დახვდათ მედეა მეზვრიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ქალთა რაიონული საბჭოს ერთჯერადი გაზეთი „მედეა“. მასში გამოქვეყნებულმა მასალებმა, ეკრანით გახმოვანებულმა ვიდეოკადრებმა, ხსენებული საბჭოს თავმჯდომარის, თავადაც დიდად ნაღვაწი ქალბატონის – **თამარ საგინაშვილის** მრავალმხრივად საინტერესო მოხსენებამ, ადგილობრივ და მოწვეულ სტუმართა შთამბეჭდავმა გამოსვლებმა, ანსამბლების „ჩინარისა“ და „ბერიკაცების“ შესრულებით დარბაზში დაღვრილმა კახურმა ჰანგებმა დამსწრეთა თვალწინ კიდევ ერთხელ გააცოცხლა მედეა მეზვრიშვილის მიერ განვლილი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლები.

ხუთი წლის წინათ, ითქვა საღამოზე, დამთავრდა ლეგენდა, სახელად მედეა მეზვრიშვილი. მოგონებებში გადაინაცვლა ადამიანმა, რომლის გარეშე საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ძნელი წარმოსადგენი იყო.

მაგრამ ყველაზე დიდი საქმე, რაც ქალბატონმა მედეა მეზვრიშვილმა გააკეთა, გარეჯელი **ლადო მარხვაშვილის** აზრით, საუკუნეების მანძილზე გაუდაბნოებული მიწისთვის სიცოცხლის დაბრუნება, ახალი სოფლის აშენება და იქ ადამიანების დასახლება იყო. მან შეუძლებელი შეძლო, როცა საკავშირო მთავრობას ხელი ააღებინა სამხედრო პოლიგონზე მანევრებისგან, რომლებიც ანგრევდნენ და ანადგურებდნენ გარეჯის კომპლექსის ეკლესია-მონასტრებს. და ბოლოს, მისივე თავკაცობით დაწესდა და ტრადიციად დამკვიდრდა სახალხო დღესასწაული გარეჯობა. მის სახელს უკავშირდება თელავში ერეკლე მეორის ძეგლის გახსნა, ახალი ეკლესიის აგება და უამრავი სხვა რამ, რამაც ქალაქი ერთიორად გაალამაზა და გაამშვენიერა.

მედეა მეზვრიშვილის მრავალმხრივ პიროვნებასთან სიტყვა „პოსტი“ უადგილო და შეუფერებელი იყო. მისი თანამდებობა მისივე გვარსახელი იყო. თუკი რამეს გაკეთება შეეძლო, უარით არავის ისტუმრებდა. მთელი თავისი დაუშრეტელი ენერგია საქართველოს აღორძინებას, გასაჭირში ჩავარდნილთა თანადგომას შეალია. მოგვიანებით ეროვნულობის ამბიციით მოსულ ხელისუფალთაგან განსხვავებით, მედიკოს პირადი სიამოვნებისთვის, სათავისოდ, ერთი დღეც არ უცხოვრია. ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, საკუთარი სახლიც არ ჰქონია.

სწორედ ამ დანატოვარზე დაყრდნობით, მედიკოს განუყრელმა მეგობარმა და თანამოაზრემ, ქალბატონმა **ნელი გურგენიძემ** საღამოზე საჯაროდ გაახმაურა საგარეჯოსა და თელავის მუნიციპალიტეტებისადმი საქართველოს ქალთა საერთაშორისო ასოციაციის თხოვნა იმის თაობაზე, რომ დასახელებული ქალაქების რომელიმე ქუჩას, სკვერს ან სხვა ადგილს, განსვენებულის საპატივსაცემოდ, მიეკუთვნოს მედეა მეზვრიშვილის სახელი. თაოსნობა მოიწონეს გარეჯელებმა და იქვე, რაიონის გამგებლის თანდასწრებით, განაცხადეს, რომ უახლოეს დღეებში ქალაქის ცენტრში შეუდგებიან მედეა მეზვრიშვილის სახელობის სკვერის გაშენებას. ინიციატივას მხარი დაუჭირა მედიკოს თელაველმა თანამებრძოლმა, ქალბატონმა **დალი აბაშიძემ.** მუზეუმში უეჭველად გამოვძებნით, თქვა მან, მედეა მეზვრიშვილის სადაგ კუთხეს, მის სახელს დავარქმევთ თელავის ერთ-ერთ ქუჩასაც. ის ამას ნამდვილად იმსახურებს.

გამოსამშვიდობებლად, გარეჯული ტრადიციის დაცვით, სტუმარ-მასპინძლებმა კულტურის სასახლიდან მევენახის სახლში გადაინაცვლეს, სადაც სულმნათი მედიკოს შესანდობარ ჭიქა ღვინოს თავი წაუქციეს, ზვარ-მეზვრე დალოცეს და ღმერთს შესთხოვეს, მედიკოსნაირი შვილები საქართველოს მომავალშიც უმრავლოს. მედეა მეზვრიშვილი, თქვა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ და მეცნიერმა **ნოდარ ჭითანავამ,** რომლის ფენომენი ეროვნულ ბურჯზე დგას, თანაბრად ეკუთვნის სამშობლოს სამივე დროს – წარსულს, აწმყოს და მომავალს. ასეთი მამულიშვილების მხრებზე იდგა საქართველო დღემდე და იდგება მომავალშიც.

ოთარ ხუციშვილი

◎ ალიან-ჩალიანი

დევნილთა დამატებითი სავალდებულო რეგისტრაცია იწყება

პირველ ივნისამდე დევნილთა დამატებითი სავალდებულო რეგისტრაცია ჩატარდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროდან აცნობეს იმ დევნილებმა, რომლებმაც რეგისტრაციის გავლა ძირითად ვადაში (01.08.13-27.12.13) ვერ მოახერხეს, დევნილთა სამინისტროს უნდა მიმართონ მისამართზე: თბილისი, თამარაშვილის 15ა. დევნილებს, რომლებიც სამინისტროში მისვლას ვერ ახერხებენ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ადგილზე მიაკითხავს სპეციალური ჯგუფი რეგისტრაციის გასავლელად. ამისათვის მათ უნდა დარეკონ სამინისტროს ცხელი ხაზის ნომერზე – 2 43 11 00.

„სააქციო საზოგადოება „გორგოტას“ სამეთვალყურეო საბჭო აცხადებს, რომ 2014 წლის 25 მაისს, დღის 14 საათზე, მისამართზე: ქ. ხაშური, ბორჯომის ქ. 2ა, გაიმართება სს „გორგოტას“ აქციონერთა №25 საერთო კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1. 2013 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა-დამტკიცება;
1.1. გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;
1.2. სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშის დამტკიცება;
1.3. 01.01.2014 წ. მდგომარეობით წარმოების განკარგულებაში დარჩენილი სარეზერვო ფონდის ნაშთის გამოყენების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატის წინადადების დამტკიცება.
2. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.
3. სააქციო საზოგადოების ძირითადი საშუალებების განკარგვის საკითხის განხილა.

კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2014 წლის 16 აპრილი.
აქციონერებს კრების მუშაობაში მონაწილეობის უფლების გარკვევა შეუძლიათ სს „კავკასრეესტრში“, ან სააქციო საზოგადოების დირექციაში პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში კრებამდე 10 დღის განმავლობაში“.

პატივისცემით
ნ. ლომიძე
გენერალური დირექტორი

განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველომ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდისგან (IFAD) მიიღო სესხი (#802-GE) სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროექტის (ASP) დასაფინანსებლად და განზრახული აქვს, სახსრების ნაწილი გამოიყენოს შემდეგი კონტრაქტით გათვალისწინებული ხარჯების დასაფარად: **ყარაღაჯის არხის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის I და სხვა რიგის გამანაწილებლების და შიდასამეურნეო ქსელის რეაბილიტაცია მდინარე თეძამზე უკაშხლო გვერდითი წყალაღების მოწყობით** კონტრაქტით: №A/W/NCB-2014/03

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო იწვევს საკონკურსო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლების მქონე იურიდიულ პირებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები ზემოთ აღნიშნული სამუშაოების შესასრულებლად. კონტრაქტების ხანგრძლივობაა **4,5 თვე.**

2. ქართულ ენაზე საკონკურსო დოკუმენტაციის სრული კომპლექტის შეძენა დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ **2014 წლის 14 აპრილიდან** (ყოველდღე 12:00-დან 16:00 საათამდე) ქვემოთ მითითებულ მისამართზე წარდგენილი წერილობითი მოთხოვნისა და ქვემოთ მითითებულ რეკვიზიტებზე 50 ლარის ოდენობის დაუბრუნებადი თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის საფუძველზე.

გადახდა უნდა მოხდეს თანხის გადარიცხვით შემდეგ რეკვიზიტებზე:
ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი: TRESGE22;
ანგარიშის ნომერი / სახაზინო კოდი: 302004400;
გადახდის დანიშნულებაში აუცილებელია, მიუთითოთ სადეპოზიტო ქვე-კოდი - 4411.

3. საკონკურსო წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების გახსნის დღიდან 90 დღის განმავლობაში და მას უნდა ახლდეს საკონკურსო წინადადების საბანკო გარანტია (გამოშვებული ბანკის ან სადაზღვევო კომპანიის მიერ) საკონკურსო წინადადების ღირებულების არანაკლებ 1%-ის ოდენობით. გარანტია უნდა იყოს გაცემული საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელზე სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული ვადით და ფორმის მიხედვით. საკონკურსო წინადადება უნდა ჩაბარდეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2014 წლის 5 მაისის 13:00 საათისა,** როდესაც ისინი გაიხსნება დასწრების სურვილის მქონე კონკურსანტების თანდასწრებით.

4. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი..

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი,
თბილისი, მარშალ გელოვანის №6,
მე-3 სართული, ოთახი №309
ელ.ფოსტა: l.durmishidze@moa.gov.ge
ტელ. (995 (32) 237-66-48.

2014 წლის 5 მაისს დღის 11 საათზე დანიშნულია სს „ყვარელის“ აქციონერთა საერთო კრება

დღის წესრიგი:
2013 წლის წლიური ბალანსის განხილვა;
2. სხვადასხვა საკითხები.
მისამართი: ქ. ყვარელი, ჭავჭავაძის ქუჩა №72.

სს „ყვარელის“ ადმინისტრაცია

◎ ფეხბურთი

კახა ცხადაძე თბილისის „დინამოში“ ბრუნდება?

ამ დღეებში ერთობ საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა – არ არის გამორიცხული, სეზონის დასრულების შემდეგ თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად კახა ცხადაძე დაინიშნოს.

საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ კაპიტანს „დინამოს“ ფეხბურთელის რანგში ოთხი სეზონი (1988-89 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე, 1990-91-ში საქართველოს ჩემპიონატში) აქვს ნათამაშები.

2005 წელს, უკვე მთავარი მწვრთნელის პოსტზე, „დინამოსთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონიც გახდა.

2006 წელს ცხადაძემ ჩემპიონობა ბოლნისის „სიონთან“ ერთადაც იზეიმა. მერე, ერთი ხანობა, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს თავკაცობდა, 2009 წლის ზაფხულიდან დღემდე კი ბაქოს „ინტერის“ მთავარი მწვრთნელია.

სამწუხაროდ, ვერც ცხადაძეს დავუკავშირდით და „დინამოშიც“ ჯერჯერობით არაფერი იციან სავარაუდო ცვლილებასთან დაკავშირებით.

არადა, ინფორმაცია ისეთია, „უტყუარი“ რომ ეთქმის...

გიორგი ზოთაძე

◎ თაობა

უეფას ახალგაზრდული ლიგა „ბარსელონამ“ მოიგო

უეფას ახალგაზრდული ლიგის პირველი გათამაშება საფეხბურთო კლუბმა „ბარსელონამ“ მოიგო.

ახალგაზრდა კატალონელებმა ფინალში პორტუგალიის „ბენფიკა“ 3:0 დაამარცხეს. განვლილი მატჩის მე-9 წუთზე ანგარიში როდრიმ გახსნა. ცოტა ხანში ლისაბონელებს საპასუხო გოლის გატანის შანსი ჰქონდათ, მაგრამ რომარიო ბალდემ თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა. 33-ე წუთზე მუნირ ელ-ჰადადიმ თანაგუნდელები კიდევ უფრო დააწინაურა, ხოლო 88-ეზე მან მოედნის ცენტრიდან საბოლოო წერტილი დასვა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ კარში დარტყმათა რაოდენობით „ბენფიკას“ საგრძნობი უპირატესობა ჰქონდა – 21:9.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ცურვა

ისევ „ცისფერ ბილიკზე“?

ყველა დროის ყველაზე ტიტულოვანი სპორტსმენი, 18-გზის ოლიმპიური ჩემპიონი მაიკლ ფელპსი 24-26 აპრილს „არიზონას გრან პრიზე“ გამოვა, – იტყობინება NBC Sports-ი. ეს იქნება ლეგენდარული მოცურავის პირველი ოფიციალური სტარტი ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის შემდეგ.

ამასთან, ამერიკელი ექსპერტები ვარაუდობენ, რომ წელს ფელპსი მონაწილეობას მიიღებს აშშ-ისა და წყნარი ოკეანის ჩემპიონატში, გაისად კი მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრება.

არ არის გამორიცხული, „არიზონას გრან პრიზე“ გამოვიდეს ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი რაიან ლოხტეც.

ნატა ნიბლაძე

◎ კალათბურთი

„ჩიკაგომ“ შენგელიასთან კონტრაქტი გაწყვიტა

„ჩიკაგო ბულზმა“ ქართველ კალათბურთელ თორნიკე შენგელიასთან კონტრაქტი გაწყვიტა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის (NBA) ოფიციალური ვებგვერდი ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ ჩიკაგოელებმა „თოკო“ მიმდინარე წლის 21 იანვარს „ბრუკლინ ნეთსიდან“ მარკის ტიგის სანაცვლოდ აიყვანეს. ქართველმა ფორვარდმა „ხარების“ მაისური მხოლოდ 9 მატჩში მოირგო და მისი საშუალო მაჩვენებლები 1.9 წუთი, 0.4 ქულა და 0.2 მოხსნა იყო.

სულ ნბა-ში შენგელიამ 45 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.5 წუთში 1.3 ქულას, 0.9 მოხსნას და 0.4 პასს აგროვებდა, ამასთან, თამაშიდან 0.45%-ანი სიზუსტით უტევდა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ვარსკვლავი

ნოვაკ ჯოკოვიჩი: ფედერერისა და ნადალის დამარცხება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია

მსოფლიო რეიტინგსიის მეორე ნომერი ნოვაკ ჯოკოვიჩი Monte-Carlo Rolex Masters-ის მოქმედი ჩემპიონია. შარშანდელ ფინალში 26 წლის სერბმა რაფა ნადალს მოუგო და ამ ტურნირზე მალიორკელის ზედიზედ რვაწლიანი ჰეგემონია (2005-12) დაამხო. წლეულს „ნოლე“ მონტე კარლოს ტურნირზე მეორე წრიდან ჩაებმება და ესპანელ ალბერტ მონტანიესს გაეჯიბრება.

– სადიდსლემო ტურნირებიდან მხოლოდ საფრანგეთის ღია პირველობა არ გაქვთ მოგებული. წლევანდელ სეზონში ძირითადი კონცენტრაციის გაკეთებას „როლან გაროსზე“ აპირებთ?

– გასულ წელს ერთთავად საფრანგეთის ღია ჩემპიონატზე ვფიქრობდი. წლეულსაც ამ ტურნირს უდიდეს ყურადღებას ვუთმობ. ძალინ მინდა „როლან გაროსის“ კორტებზე გამარჯვების მოპოვება, მაგრამ სადღეისოდ მთლიანად მონტე კარლოს „მასტერზ1000“-ზე ვარ კონცენტრირებული. შემდეგ აქცენტს მადრიდისა და რომის შეჯიბრებებზე გავაკეთებ. თუკი ამ 3 ტურნირზე კარგად გამოვალ, საფრანგეთის ღია პირველობასაც სათანადო განწყობითა და მზადყოფნაში შევხვდები.

– ფსიქოლოგიურად რამდენად მზად ხართ გრუნტის სეზონის შესაბამისად შესახვედრად?

– ინდიან უელსსა და მაიამიში წარმატებით გამოსვლის შემდეგ ფსიქოლოგიური მდგრადობა კიდევ უფრო მომემატა. როჯერ ფედერერისა და რაფა ნადალის დამარცხება ჩემთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იმედია, გრუნტის სეზონის მსვლელობის დროსაც ყველაფერი კარგად იქნება.

– ამჟამად 2 მწვრთნელი გყავთ: ლეგენდარული გერმანელი მოთამაშე ბორის ბეკერი და სლოვაკი მარიან ვაიდა...

– მარიანი ჩემთვის მხოლოდ მწვრთნელი არაა. ჩვენ უკვე დიდი ხანია ვთანამშრომლობთ და ვაიდა არა მარტო ჩემთვის გახდა ახლობელი ადამიანი, ოჯახის წევრების მეგობარიცაა. მარიანთან ერთად იმდენი ვნახე კარგიცა და ცუდიც, ერთმანეთს იოლად ვუგებთ. ბეკერს რაც შეეხება, ბორისთან ასე გაშინაურებული არ ვარ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ ურთიერთგაგებას მივაღწევთ. თუმცა, ამ ეტაპზეც ერთმანეთს მშვენივრად ვუგებთ.

კობა კობახიძე

◎ კრივი

მენი პაკიაოს საზარელი ჭრილობა

ტიმოთი ბრედლისთან გამართული ბრძოლის შემდეგ ფილიპინელ მენი პაკიაოს 32 ნაკერი დაადეს. შაბათს „პაკმენმა“ საჩემპიონო შეხვედრა ქულებით მოიგო. ბრძოლის ბოლოს, საფინალო გონგამდე დაახლოებით 15 წამით ადრე, მოკრივეები თავებით შეასკდნენ ერთმანეთს, რის შედეგადაც ფილიპინელმა მარცხენა წარბი დაიზიანა.

ექიმის თქმით, მენიმ „ვარსკვლავის ფორმის“ ჭრილობა მიიღო, რის გამოც მეტი ნაკერის დადება გახდა საჭირო, ვიდრე ეს „ჩვეულებრივი ჭრილობის“ შემთხვევაში ხდება. დაზიანების გამო ფილიპინელი ოფიციალურ პრესკონფერენციაზე ერთი საათის დაგვიანებით მივიდა.

შეგახსენებთ, რომ მენი პაკიაოსა და ტიმოთი ბრედლის ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდა და სამივე მსაჯმა უპირატესობა აზიელ მოკრივეს მიანიჭა. პაკიაომ ამერიკელს ნახევრად საშუალო წონაში WBO-ს ჩემპიონის ტიტული წაართვა.

ბეჟან დოლიძე

◎ ინტერნეტიდან

ემილი დიდონატოს შეთავაზება „რომას“ ფეხბურთელებისათვის

იტალიელი მოდელი და მსახიობი ემილი დიდონატო წარმოშობით კუნძულ სარდინიიდანაა და მისი მშობლები სწორედ ამ კუნძულზე დაიბადნენ და წლების მანძილზე ცხოვრობდნენ. თვითონ ემილი კი რომში დაიბადა და გაიზარდა და ალბათ ამის გამოა, რომ ეროტიკული ჟანრის ფილმში, რომლის რეჟისორიც თავად იქნება, საფეხბურო კლუბ „რომას“ რამდენიმე ფეხბურთელი მიიწვია.

ჯერ არაა ცნობილი, ემილი დიდონატოს შეთავაზებას დათანხმდებიან თუ არა მიწვეული ფეხბურთელები: დესტრო, ჟერვინიო და დე როსი, მაგრამ თუკი მშვენიერ ემილის შარმსა და სილამაზეს გავითვალისწინებთ, სრულფასოვან მამაკაცებს წესით ძალიან უნდა გაუჭირდეთ ასეთ ქალთან თანამშრომლობაზე უარის თქმა. მით უმეტეს, რომ ზემოთაღნიშნულ ფილმში მსახიობობას თავად ემილიც გასწევს და ეროტიკულ ფილმში პარტნიორიც სწორედ ასეთი უნდა!

როსტომ რაჭველიშვილი

განათლების სამინისტრო სკოლებში რეგისტრაციის დაწყებამდე მშობლებს აფრთხილებს

როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა აღნიშნა, გასულ წელს პროგრამას, რომლის მეშვეობითაც მშობლები სკოლებში შვილებს არეგისტრირებენ, ჰქონდა ხარვეზები, რადგან გათვლილი იყო წუთში 10 000 მომხმარებელზე. მინისტრის მოადგილის თქმით, გასულ წელს მოხდა ისე, რომ ერთდროულად პროგრამის 70 000 მომხმარებელმა ისარგებლა, რამაც ხარვეზები შექმნა. მისივე თქმით, წელს უკვე პროგრამა გაუმჯობესებულია და წუთში გათვლილია 50 000 მომხმარებელზე, თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მშობლებს აფრთხილებს.

— ჩვენ გაფრთხილებას ვაკეთებთ ყველა მშობელთან, რომ არ დაარეგისტრიროს ერთი ბავშვი რამდენიმე მეურვემ და მშობელმა ერთდროულად, რაც პროგრამას უქმნის ხარვეზებს. რაც მთავარია, ამის შესაძლებლობა მშობელს ნამდვილად არ ექნება, რადგან, თუ ერთსა და იმავე ბავშვზე რეგისტრაციას დაიწყებს რამდენიმე ადამიანი, საერთოდ შეჩერდება ამ ბავშვის რეგისტრაცია. პროგრამულად ეს უზრუნველყოფა გაკეთებულია, პროგრამა ისეა გამართული, რომ, მცდელობა ერთი ბავშვი დაარეგისტრიროს 10-მა, 15-მა, 20 ადამიანმა, აუცილებლად იქნება დაბლოკილი, — აღნიშნა ლია გიგაურმა.

პირველკლასელთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 23 აპრილს დაიწყება. პირველკლასელთა რეგისტრაციის სრულ სამივე ეტაპის განრიგს სამინისტრო დღეს წარმოადგენს.

ცხოვრების წახნაგები

მოითმინე – შეგიყვარდება

როგორ იქცნენ საზიზღარი ნაგებობები სიმბოლოდ და სიამაყედ

125 წლის წინათ, 1889 წლის 31 მარტს ოფიციალურად გაიხსნა „ყველაზე უსარგებლო და ურჩხულივით მახინჯი კონსტრუქცია" — იმ დროის „კრეატიული კლასი" ასე ახასიათებდა საფრანგეთის მთავარ სიმბოლოს — ეიფელის კოშკს.

გთავაზობთ ნაგებობების ნაკრებს, რომლებზეც ოდესღაც იცინოდნენ და რომლებსაც დასცინოდნენ. მათი განადგურებაც კი სურდათ. ამჟამად კი მსოფლიო უიმათოდ ძალიან ღარიბი იქნებოდა.

1. თავისუფლების ქანდაკება

„ჭეშმარიტ პატრიოტს არ შეუძლია მოიწონოს ასეთი უგუნური ხარჯები ბრინჯაოს ქალზე!" — აღშფოთებული იყო გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" 1885 წელს. და რას შეეხებოდა ეს სამართლიანი რისხვა? იგი მიმართული იყო „იმ ხულიგნების მისამართით, რომლებმაც გადაწყვიტეს ჩვენი სამოქალაქო ომის ეკონომიკური ნგრევის გამოყენებით თავს მოეხვია ჩვენთვის ეს არასაჭირო მონსტრი!"

და მაინც იგი ააგეს. თუმცა, სახსრების უკმარისობის გამო კვარცხლბეკის სიმაღლე 8 მეტრით შეამცირეს. ახლა კი ამერიკელ ბავშვთა დაახლოებით 80 პროცენტს მიაჩნია, რომ ამ სპილენძის ქალს ხელში უჭირავს არა თავისუფლების ჩირაღდანი, არამედ ნაყინის ქილა. მიუხედავად ამისა, სწორედ „თავისუფლება, რომელიც ანათებს მსოფლიოს" — არის ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი სიმბოლო.

2. სიდნეის ოპერის შენობა

„ზღვის ეს რა ურჩხული გამოძვრა ნაპირზე და დალია სული" — ამბობდნენ სიდნეის მცხოვრებლები ოპერის ახალ თეატრთან დაკავშირებით. იყო სხვა მინიშნებებიც: „ფეხბურთის მოთამაშე ცხრა მონაზონი თუ ალბინოსი ძაღლის ბრჭყალები". მიუხედავად ამისა, ავსტრალიას მაინც გაუჩნდა ხელთქმნილი სიმბოლო.



3. ბრინჯაოს მხედარი

პირველი რუსი ცხენოსანი მეფის ძეგლმა გამოიწვია აღშფოთება ავტორის სიმბოლური ექსპერიმენტის გამო. იგი იყო ეტიენ ფალკონე. ძეგლის კვარცხლბეკი, „ჭექა-ქუხილის ქვა", თავდაპირველად სურდათ დაეტოვებინათ ნატურალური სახით, რომ ყოფილიყო უხეში და სტიქიური. ფალკონემ კი იგი გახეხა და გააპრიალა. მაგრამ სად არის აქ „გამარჯვება ქაოსზე"?

4. ეიფელის კოშკი

კოშკის შემქმნელმა გუსტავ ეიფელმა სახელი გაითქვა, როგორც აჟურული სარკინიგზო ხიდების მშენებლობების განუმეორებელმა სპეციალისტმა. პარიზის სიმბოლოც სწორედ ამგვარ ხიდს წარმოადგენდა, რომელიც მდგომელაზე დააყენეს. კოშკი ეროვნული ზიზღის საგანი გახდა. პარიზის ყველა გაზეთმა გამოაქვეყნა კულტურის 300 მოღვაწის მოწოდება, რომელთა შორისაც იყო დიუმა-შვილი, გი დე მოპასანი და ემილ ზოლა: „ჩვენ, პარიზის დღემდე ხელუხლებელი სილამაზის თაყვანისმცემლები, მოგიწოდებთ თქვენ, გემოვნების, ფრანგული ხელოვნების სახელით, რასაც საფრთხე ემუქრება, უარი განაცხადოთ ეიფელის ამ უსახურ კოშკზე".

5. მაცხოვრის ტაძარი

ოდესღაც მოსკოველები თავს არ ზოგავდნენ ამ ტაძრის ზედმეტი სახელისთვის: „სამოვარი, სოკო, სამელნე". კონსტანტინ ტონის ნაწარმოები არ მოსწონდათ არც კლასიკოსებს, მაგალითად, ალექსეი შჩუსევს: „ამგვარ ხელოვნებას ბუტაფორულს ვუწოდებ". და მაინც ქრისტე-მაცხოვრის ტაძარი მოსკოვის ერთ-ერთი სიმბოლო გახდა.

6. ბარსელონას სიმბოლო

„ყველაზე იდიოტური შენობა მსოფლიოში". ასე შეაფასა ეს ტაძარი მწერალმა ჯორჯ ორუელმა. მაგრამ წმინდა ოჯახის „იდიოტური" ტაძარი გახდა ბარსელონას სიმბოლო. არქიტექტორი გაუდი კი ვატიკანს სურს, შეიყვანოს წმინდანთა სიაში 2016 წელს.

7. ვაშინგტონის მონუმენტი



ერთ-ერთი ყველაზე დამამუხრუჭებელი ხანგრძლივი მშენებლობის მაგალითი. და სად — ამერიკაში! ვაშინგტონის მონუმენტს აშენებდნენ ასი წელიწადი — მისი გარდაცვალების დროიდან. თანაც არაფერი რთული მასში არ არის — ჩვეულებრივი ობელისკია. ასეთებს მშვიდად აგებდნენ ჯერ კიდევ ტუტანხამონის დროს. მაგრამ — ღირებულება, მაგრამ — საზოგადოებრივი აზრი... აი, რა თქვა მის გარეგნულ სახეზე მარკ ტვენმა: „ქარხნის მილი ბოსლით საფუძველში, და ღორებს მის მადლიან ჩრდილში სძინავთ".

სანთელი

პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი



საქართველოსა და მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოებამ ამ დღეებში დიდი დანაკლისი განიცადა, გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი ფიზიოლოგი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **გიორგი მჭედლიშვილი**. ბატონი გიორგი დაიბადა 1921 წლის 16 ივნისს ექიმების ოჯახში. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან განვლო უაღრესად შრომატევადი და უაღრესად წარმატებული გზა მსოფლიოში აღიარებული თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ფიზიოლოგიის და პათოლოგიური ფიზიოლოგიის მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მკვლევარამდე. მის მიერ გამოქვეყნებული შრომების სია მოიცავს 700-მდე ნაშრომს, მათ შორის, 7 სამეცნიერო მონოგრაფიას (2 გამოცემულია ნიუ-იორკში და 2 - ლენინგრადში), 13 სამეცნიერო წიგნს შედგენილსა და გამოქვეყნებულს მისი რედაქციით (მათ შორის, 8 ინგლისურ ენაზე), 346 სამეცნიერო სტატიას (რომელთა შორის, 125 ინგლისურენოვან გამოცემებშია), 12 თავს სხვადასხვა სახელმძღვანელოებში (მათ შორის, ინგლისურ და გერმანულ ენებზე), 25 სტატიას ენციკლოპედიაში და კიდევ მრავალ სხვა სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სახის ნაშრომებს.

გიორგი მჭედლიშვილის მიერ გამოვლენილი და აღწერილი ორი მოვლენა აღიარებული იყო, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო აღმოჩენა. ერთი ეხება ჰემატოკრიტის ადგილობრივ ცვლილებებს სისხლძარღვთა სისტემაში, ხოლო მეორე - თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის რეგულაციას. გიორგი მჭედლიშვილის თაოსნობით და ხელმძღვანელობით ორგანიზებული იყო 7 საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმი, ე.წ. „თბილისის სიმპოზიუმები", რომლებშიც, როგორც წესი, მუდამ მონაწილეობდნენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერები

ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში სამეცნიერო დანაყოფის ხელმძღვანელობისას გ. მჭედლიშვილმა მოამზადა მრავალი სამეცნიერო კადრი, რომლებიც ნაყოფიერად მოღვაწეობენ არა მხოლოდ საქართველოში. ბატონი გიორგის ნათელი ხსოვნა მუდამ იქნება მისი მადლიერი მოსწავლეების, კოლეგებისა და მეგობრების გულში.

სსიპ ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფიზიოლოგიის და მედიცინის განყოფილება.

შვილები ლანა, ვალერი ებრალიძეები, და ნანა, ძმა ვლადიმერ ცხვედაძეები ოჯახებით, შვილიშვილები გიორგი, მარიამ დუნდუები, სიძე მიხეილ დუნდუა, ავთანდილ, დავით ებრალიძეები ოჯახებით, მძახლები დარეჯან, გიორგი დუნდუები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები და ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან

მზია კარლოს ასული ცხვედაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 IV, 14 სთ. მისამართი: ტაშკენტის ქ. №43.

თენგიზ კალანდაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლანა და მიხეილ დუნდუებს დედისა და სიდედრის

მზია ცხვედაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ახლობლებს.

მევლუდ დუნდუა, ანზორ შენგელია, რაულ ხუჭუა, გრიგოლ კუპრავა, გია ჯღარკავა, ედიშერ დუნდუა ოჯახებით იუწყებიან

მზია ცხვედაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

ნანა გუნია ოჯახით თანაუგრძნობს დარეჯან და გიორგი დუნდუებს მძახლის

მზია ცხვედაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახის წევრებს.

ნონა, თემურ ბრელიძეები, იური სალია, მარინა კანდელაკი იუწყებიან

მზია ცხვედაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"
299-62-77; 568 82-09-84.

განაწესი დღეების მიხედვით

16 აპრილი (დიდი ოთხშაბათი)

ამ დღეს იუდამ გადაწყვიტა მიეყიდა იესო ქრისტე იუდეველ მოძღვართათვის და ამისთვის მიეღო 30 ვერცხლი. სამონასტრო წესდებით განწესებულია ხმელა პურის ჭამა, მშრალზე გადასვლა.

75 წლის ამირან შალიკაშვილს „ვარსკვლავი“ გაუხსნეს

ეღირსებაო, ამირანს, ბაღში სცენაზე შადგომა!..

სულ შენობის მძებნელი იყო ქართული პანტომიმის მამამთავარი ამირან შალიკაშვილი. ერთხელ და სამუდამოდ ვერსად შეასახლა თავისი თეატრი. და აი, როგორც იტყვიან, მგონი, ყინული დაიძრა – ალექსანდრეს ბაღში, სადაც ერთ დროს რეჟისორ სანდრო მრევლიშვილის თეატრი-გლობუსი არსებობდა, ამჟამად კი ეს ხის შენობა, ფაქტობრივად, საპირფარეშოდაა ქცეული, პანტომიმის თეატრი აშენდება. ეს უკვე გადაწყვეტილია, ის კი არა, გუშინ მომავალი თეატრის წინ 75 წლის ამირან შალიკაშვილს წინასწარ „ვარსკვლავიც“ კი გაუხსნეს, დაიფასეს, მოეფერნენ დღევანდელი ქართული თეატრის, ჭეშმარიტად, ცოცხალ ლეგენდას და ახალ-ახალი წარმატებები უსურვეს.

რატომაც არა! ამირანსა და მის შემოქმედებით კოლექტივს დიდი გეგმები აქვთ და ალექსანდრეს ბაღში მოუწევთ მისი ხორცშესხმა!

ჰოდა, ვუსურვოთ ამირან შალიკაშვილს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ეღირსოს საკუთარი თეატრის შენობა და მის სცენაზე, როგორც ვაჟა იტყოდა, შადგომა!..

ვილენ მარდალეიშვილი

თანამემამულე

ბექა ჯულიარდში

ამბას წინათ ჯულიარდის სკოლის საკონცერტო დარბაზში ქართველი ჯაზმენის ბექა გოჩიაშვილის ტრიოს კონცერტი გაიმართა. სკოლაში სწავლის ხუთი წლის განმავლობაში ბექამ ჯულიარდში ოთხი კონცერტი გამართა. ერთი წლის „გამოტოვება“ კი ჯულიარდის კედლებს გარეთ მისი საკონცერტო გადატვირთული გრაფიკით იყო განპირობებული.

ამჯერადაც ჯულიარდში გამართულ საღამოზე მასთან ერთად იმავე სკოლის სტუდენტები, საუკეთესო ჯაზმენები უკრავდნენ: მარტინ ჯეფი – აკუსტიკური ბასი და დაგლას მერინერი – დასარტყამი ინტრუმენტები. ტრიომ შეასრულა ბენი ჰარისის Crazeology, ჯერომ კერნისა და ოტო ჰარბოქის „ნისლი შენს თვალებში“, სონი როლინზის Valse Hot, ვეინ შორტერის „ბავშვური თვალები“, ბად პაუელის Tampus Fugit და ბექა გოჩიაშვილის „ანამარია“.

ბექას მიაჩნია, რომ კოლეჯში სწავლის გაგრძელება ამ ეტაპზე და, ალბათ, მომავალშიც მისთვის აუცილებლობას არ წარმოადგენს. მის ამ გადაწყვეტილებას ჯაზის პედაგოგი ფრენკ კიმბროც ეთანხმება, თუმცაღა – გულისწყვეტით. მიუხედავად ამისა, ბექა აპირებს კლასიკური ფორტეპიანო კერძოდ იმეცადინოს პედაგოგ ვიქტორია მუშკატკოლთან. მიზეზი კი ერთია – ბექას გადატვირთული საკონცერტო მოღვაწეობა, რომელიც ერთი წლით უკვე გაწერილია. გარდა ამისა, ქართველი ჯაზმენი სწორედ კონცერტების, ჯაზის ოსტატებთან ერთად გამოსვლით იღებს იმ გამოცდილებას, რომელიც მუსიკოსს სჭირდება. ბექა, გარდა ჯულიარდში არსებული ამ ტრიოსი, სხვა ჯაზ-ბენდებშიც უკრავს. ერთ-ერთი მათგანია ცნობილი ამერიკელი კომპოზიტორისა და ჯაზმენის სტენლი კლარკის ბენდი, რომელიც ბექას დიდ გამოცდილებას მატებს და სახელს სწრაფად უთქვამს მსოფლიო მასშტაბით. ამ ბენდის უახლოესი კონცერტი 13 ივნისს ლას ვეგასშია დაგეგმილი. გარდა ამისა, ბექას ჰ ყავს თავისი ბენდი Beka & Logic Project, რომლის სტილი არის ელექტრონული მუსიკა ჯაზის, ჰიპ-ჰოპის და რეპის შერწყმით. გასულ წელს გამოვიდა ამ ბენდის პირველი ალბომი Chillin' in Batumi, რომლის პრეზენტაცია ამა წლის 5 ივნისს Blue Note Jazz Festival-ზე გაიმართება.

სამომავალოდ ქართველი მუსიკოსი აპირებს შექმნას ტრიო, რომელშიც მასთან ერთად დაუკრავენ ბასისტი ბენ უილიამსი და დრამერი ჯასტინ ტაისონი. ეს ახალი ბენდი უმეტესად აკუსტიკურ, სთრეით ჯაზსა და ასევე ელექტრონულ მუსიკას შეასრულებს.

16 აპრილს ცნობილ ჯაზ-კლუბ მინტონსში, იქ, სადაც ლეგენდარული მუსიკოსები მაილს დევისი, დიზი გილესპი და სხვები რეგულარულად უკრავდნენ, ბექა წარმოდგენილი იქნება, როგორც ელექტონული მუსიკის ბენდის – The James Hurt Experience-ის წევრი.

აპრილის ბოლოს ბექა გოჩიაშვილის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი და, ალბათ, ჯაზის ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული ალბომის ჩაწერაა დაგეგმილი. ქართველ ჯაზმენთან ერთად დაუკრავენ გერი პიკოკი (ქით ჯარეთის ტრიოს ბასისტი) და ჯეფ ბალარდი (ბრედ მელდაუს ტრიოს დრამერი). ალბომში ჩაწერილი იქნება ბექას ხუთი და პიკოკისა და ბალარდის თითო-თითო კომპოზიცია.

ია მერკვილაძე,
ნიუ იორკი, აშშ.

კრიმინალი

მარიხუანა და ტროტილი სოფელ სკრის მკვიდრს აღმოუჩინეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოს და ამავე დეპარტამენტის მეორე მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული დავით მ. ნარკოდანაშაულისთვის და საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით გორის რაიონის სოფელ სკრაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღისთვის განკუთვნილი 125 საბრძოლო ვაზნა, ფეთქებადი ნივთიერება და ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს. ექსპერტიზის დასკვნით, ამოღებულია 6,8337 კგ ტროტილი და 10,65 გრ გამომშრალი მარიხუანა.

გამოძიება ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საბრძოლო მასალისა და ფეთქებადი ნივთიერების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტებზე მიმდინარეობს, რაც 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ცინცხალი ანეკდოტები

ტიპი უმაღლესში ჩაირიცხა. ერთი წლის შემდეგ მშობლებმა ჩამოაკითხეს სოფლიდან. მან ისინი თავის საერთო საცხოვრებელში წაიყვანა.

— შვილო, როგორ ცხოვრობ, ხომ არ გჩაგრავენ აქ?

— არა. აი, იმ საწოლზე ჩემი თანაკურსელი წევს. დიდი ხეპრე ვინმეა. შუაღამისას წამოხტება და არაადამიანური ხმით ბღავის ხოლმე. მასთან ურთიერთობას ვერიდები. ამ საწოლზე კი ჩემი მეორე მეზობელი წევს. ისიც კარგი დებილია. ღამით წამოხტება და კედელს თავს ურტყამს.

— მერე როგორ ცხოვრობ შვილო, ასეთ პირობებში?

— ძალიან კარგად. მათ ყურადღებას არ ვაქცევ და მთელი ღამე ბალალაიკაზე ვუკრავ.

— მარო, ტუალეტში შეხვალ?

— არა!

— მაშინ ჩავრეცხავ!

* * *

გვძირდება 30 წლის ქალი, რომელსაც გადავიღებთ რეკლამაში: „როგორ გამოვიყურებოდეთ 50 წლის ასაკში ისე, თითქოს 35-ისა ვიყოთ“.

* * *

— ჩაის ხომ არ ინებებთ?

— ჩაის არა ვსვამ.

— მაშინ ყავა?

— არც ყავას ვსვამ.

— კოკა-კოლიანი ვისკი?

— კოკას არა ვსვამ...

* * *

ჩუქჩა ტრამვაით მგზავრობს.

— შემდეგი გაჩერება „12 სექტემბერი“, — აცხადებს ვატმანი.

განერვიულებული ჩუქჩა წინ და უკან დარბის, მერე კი ვატმანს ეკითხება:

— უფრო ადრე ვერაფრით ვერ გააჩერებ?

კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერონსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24